პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 92 (19833) სამშაბათი, 21 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ღირსეულად შევხვდეთ პირველ მაისს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის საპირველმაისო მოწოდებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის ღირსეული შეხვედრისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების მნიშვნელოვან ეტაპად იქცა. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში რესპუბლიკის ყველა რეგიონიდან შემოდის ინფორმაციები, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი მიღწევებით ხვდებიან მშრომელები ამ თარიღს.

დოკერები დროს უსწრებენ

ბათუმი (საკ. კორ) ხალხთა მეგობრობის ორდენოსანმა ბათუმის ნავსადგურის კოლექტივმა ადრიდანვე გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისის დღესასწაულის შესახვედრად. აქ წარმატებით შესრულდა პირველი კვარტალის დავალება. მიღწევები განაპირობა კომპლექსურმა მექანიზაციამ, ნავსადგურის ახალი ტექნიკით აღჭურვამ და ტრანსპორტელთა შეთანხმებულმა მუშაობამ. შეუფერხებლად იცლება და იტვირთება საკვლიანო ხომალდები და რკინიგზის შემადგენლობები. თავდადებულ შრომას შედეგიც კარგი მოჰყვა. ვადამდე დაამუშავეს გემები „ალექსანდრე პოპოვი“, „სორმოვსკი“ და „პავლოვსკი“.

ზრდიან შრომის ტემპს

ცხინვალი (საკ. კორ.) ყველაზე ახალგაზრდა საწარმოში — სასოფლო-სამეურნეო მანქანების ელექტრომოწყობილობის სარემონტო ქარხანაში წარმატებებს აღწევენ. აქ ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისთვის. აქაური მშრომელების გადაწყვეტილებაა არ შეიტანონ შრომის ტემპი და საოქტომბრო დღესასწაულისთვის ორი წლის დავალება შეასრულონ.

ქარხანაში ახლა მეტი ყურადღება ეთმობა შრომის დისციპლინის განმტკიცებას. კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება 105 პროცენტით შეასრულოს, ხარისხიანი დუქციის გამოშვების [illegible] ბულება დაგეგმილზე 0,5 პროცენტით შეამციროს. სულ უფრო იზრდება მოგება, ეს კი საშუალებას აძლევს მშრომელებს წარმატებით გადაწყვიტონ სოციალური საკითხები. გაზარდონ მატერიალური წახალისების ფონდი.

ქარხნის ხელმძღვანელობამ (დირექტორი რ. ბუკულოვი) შარშანდელი შეფერხებებიდან — ზოგჯერ არ ჰყოფნიდათ ნედლეული და მასალები, სათანადო დასკვნები გამოიტანა. ამჟამად გაუმჯობესდა მომარაგება. შეიქმნა შრომის კარგი პირობები, შეწყდა მუშათა დენადობაც.

ახალი პროდუქცია

თელავი. შამპანური ღვინის ქარხანა ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა რაიონში, სადაც წელს 6 მილიონი ბოთლი შამპანური ღვინო უნდა გამოუშვან. აქ გულმოდგინედ იღვწიან პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ასორტიმენტის გასაზრდელად.

სასიხარულოა, რომ თებერვლის ბოლოს დაიწყო ახალი პროდუქციის — უალკოჰოლო სასმელის კოქტეილის ჩამოსხმა, რომლებსაც ჰქვია „სიურპრიზი“ და „სადღესასწაულო“. იგი ხასიათდება სასიამოვნო გემოთი და სუფთელოვანია. საპირველმაისოდ ამ სასმელებს უხვად მიაწვდიან მშრომელებს თერჯოლელები.

წელს ჩამოისხმება ერთ მილიონ ბოთლამდე ახალი პროდუქცია, ხოლო მომავალში მისი გამოშვება ერთიორად გაიზრდება.

ვ. კუტალაძე.

გამოვძებნოთ დამატებითი შესაძლებლობები

ასუხსაბები და საპატიო ამოცანა უნდა გადაწყვიტოს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ. უნდა მივაღწიოთ წლიური გეგმით გათვალისწინებული წარმოების მოცულობის ზრდას. წლის პირველი ნახევრის დამლეკვისათვის ამ მაჩვენებელმა 103,7 პროცენტი უნდა შეადგინოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამ თვეში გამოსამშვებია 2625 მილიონი მანეთის, ანუ კვარტალის დავალებით ნავარაუდევზე 27 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია.

ეს ამოცანა სრულიად რეალურია, თუ გავითვალისწინებთ მრეწველობის მთელი რიგი დარგების პოტენციურ შესაძლებლობებს, იქ არსებულ გამოყენებულ რეზერვებს. სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან დარაზმონ კოლექტივები დამატებითი შესაძლებლობების გამოსანახავად და მიზნის მისაღწევად.

ყველაფერი ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1987 წლის პირველი კვარტალის შედეგები და დასახეს მეორე კვარტალის დავალებათა უთუო შესრულების ღონისძიებანი.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში წინა პლანზე წამოვწიეთ მეორე კვარტალში გადასაწყვეტი ამოცანები და ეს შემთხვევით არ გაგვიკეთებია. საქმე ის არის, რომ მიუხედავათ გარკვეული დადებითი შედეგებისა, პირველ კვარტალში მიღწეული დონე მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სრულიადაც არ არის საკმარისი.

დიახ, არის გარკვეული დადებითი შედეგები. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებულზე მეტს მიაღწია. მარშანდელ ამავე პერიოდში მიღწეულ დონეს იგი 0,4 პროცენტით აღემატება. შესრულდა ნავთობის, ქვანახშირის და გაზის მოპოვების, ფოლადის დნობის, ელექტროკარების, მაგისტრალური ელმავლების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, ავეჯის, ტრიკოტაჟის საცვლების, ტყავის ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმები. არის წინსვლა უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის დამზადების მხრივ, გაუმჯობესდა მდგომარეობა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასულ საწარმოებში, ხარისხის საკითხებს ცალკე კორეს-პონდენციას მივუძღვნით ამ დღეებში და ამიტომ დღეს მათ აღარ შევეხებით.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, არ გვაკმაყოფილებს პირველი კვარტალის შედეგები, და ამით ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა დაგვაკლეს 13,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების მოცულობის 0,2 პროცენტით ზრდის ნაცვლად, მათ მთელი 1,5 პუნქტით შეამცირეს იგი. 4,7 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია დაამზადეს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. სამინისტრო ძალიან დაალალტეს ნედლეულისა და მასალების მომწოდებელმა ორგანიზაციებმა, მაგრამ უაქტი ფაქტად რჩება. უმძიმესი მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, სადაც წარმოების მოცულობა მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,8 მილიონი მანეთით შემცირდა. სამინისტროს არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსაყვანად გადასაწყვეტია ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის მრავალი ურთულესი პრობლემა. ასეთივე მდგომარეობაა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებიდანაც მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ყოველმა მეორემ შეამცირა წარმოების დონე და გამოუშვა 60 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია.

აკვლავინდებურად დაძაბული მდგომარეობაა პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების მხრივ. მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით მაინც გაუარესდა. მომმზადებელმა მიიღო გათვალისწინებულზე 33,5 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია. მთლიანად რესპუბლიკაში სახელმეურეველობო დისციპლინა დაარღვია 89 საწარმომ. მათ შორის ბევრია საკავშირო დაქვემდებარების საწარმო. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ, მაგალითად, შემკვეთს ვერ მიაწოდა მილიონობით მანეთის პროდუქცია, „საელექტრომანქანის“, „ნარხმშენებლის“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებებმა შესაბამისად — 900 ათასი, 800 ათასი და 500 ათასი მანეთის პროდუქცია, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა — 11,8 მილიონი მანეთისა. გაუგებარია ის ფაქტი, რომ იგივე მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მოითხოვს სწორედ ისეთი სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზემოდან ვალდებულებებს, რომლის მიხედვითაც ვერ შესრულდა მიწოდების ვალდებულება.

როგორც წარმოების მოცულობის ზრდის გეგმის შესრულებას, ისე სახელმეურეველო დისციპლინის მთლიან დაცვას ხშირად ხელს უშლის საწარმოების ნედლეულით, მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწილებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგება. ეს მარტალია, მარგამ, სწორია ისიც, რომ წინსვლას ძირითადად მაინც საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა, არცთუ იშვიათად, მათი უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა აფერხებს. საღა ამ საკითხზე განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავენ, შედეგსაც აღწევენ. სტიქიით გამოწვეულ დაბრკოლებათა მიუხედავად, „საქსამოქმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებამ ასი პროცენტით შეასრულა პროდუქციის მიწოდების ვალდებულება. წარმატებას მიაღწიე ამ მხრივ აგრეთვე ზესტაფონის „საკაბელის“, თბილისის სანსტრუმენტო და ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხნებმა, სხვა საწარმოებმა..

გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმაც, თუმცა დასამშვიდებელი ოდნავადაც არაფერი გვაქვს. პირიქით, ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მარშანდელ პირველ კვარტალში მიღწეულ დონესთან შედარებით ეს მაჩვენებელი 241 საწარმომ შეამცირა და ეს ძალიან დიდი ციფრია. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ 50 საწარმოში შრომის ნაყოფიერება დამატებითი მომსახურე პერსონალის მოზიდვის ხარჯზე გაიზარდა. უფრო უარესია ის, რომ 89 საწარმოში გათვალისწინებულზე მეტმა მუშახელმა საქმეს ვერ უშველა და ზრდის ნაცვლად შრომის ნაყოფიერება შემცირდა. ამიტომ გაერთიანებებმა და საწარმოებმა, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას და მით უმეტეს შეამციროს ეს მაჩვენებელი მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყველაფერი უნდა იღონონ ეკონომიურ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, არ დაუშვან ფლეგმითი პერსონალის დასაქმება, დაიცვან თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის.

მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, ენერგეტიკასთან, ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული საქმის ვითარება მოწმობს, რომ ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი. ნაგარიმო პერიოდში გაძვირდა სახაქონლო პროდუქცია 4,1 მილიონი მანეთით, ხოლო ზოგების გეგმის შესრულებას დააკლდა 44,8 მილიონი მანეთი. ამის გამო ბევრი მეურნეობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას ვაჭრობაში მიმდინარე მუშაობა. პირველი კვარტალის გეგმა ვერ შეასრულა ვერც სახელმწიფო ვაჭრობამ და ვერც სამომხმარებლო კოოპერაციამ. ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანეს დარგში სრულიად არ იგრძნობა გარდაქმნა. არადაკმაყოფილებელია საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და მათ შორის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ორგანიზაციების საქმიანობა.

მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და კადრების კომპეტენტურობას ეფუძნება.

ეს გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ეს მოთხოვნა არასოდეს არ უნდა გამოვვრჩეს მხედველობის არიდან. დადებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსეული შეხვედრისთვის გამლილი შრომითი მეტოქეობის გადამწყვეტი ეტაპი. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს პერიოდი ექვსი თვისა და ამასთანავე წლიური გეგმის წარმატებული შესრულებისათვის.

ჩვენ ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

რუსთავის „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანების 2 ათასზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ ვალდებულება იკისრა ლენინური შაბათობის დღეს გეგმის გადამეტებით 5 ათასი კვადრატული მეტრი კორდის ქსოვილი გამოეშვა. როგორც გვაცნობეს, დამზადებულია 800 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 30 ათასით აღემატება გეგმას. დაირგო 200-ზე მეტი ხე, შეგროვდა 5 ტონა ჯართი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: შაბათობაზე კარგად იმუშავა პირველი საქსოვი საამქროს მუშამ, შრომის დამკვრელმა, კომკავშირელმა მარინე მაკარაშვილმა; № 1 საქსოვი საამქრო.

Ფ. კრიმსკის ფოტო.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ონი. (საკ. კორ.). პიპილეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები 18 აპრილს უკლებლივ ყველა დადგა შრომითს ვახტზე, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა კ. ტაბუცაძემ, — ამ დღეს დავრგეთ 500 ძირი ხეხილის ნერგი. ორგანული სასუქი შევიტანეთ 100 ჰექტარზე. შემოვღობეთ 10 ჰექტარი კაკლის ბაღი, წყლიგაში მოვიყვანეთ თევის შესანახი ფარდულები, რომლებიც დიდთოვლობის დროს დაზიანდა, შევაკეთეთ სასოფლო გზები.

დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა მეურნეობის საზოგადოებრივი პირუტყვის ფერმებში. მრავალმა მუშამ ამ დღის ნორმა 150-160 პროცენტით შეასრულა.

მეურნეობის მშრომელებმა მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში 500 მანეთზე მეტი გადარიცხეს.

მშენებლობას — ზუსტი რიტმი

რესპუბლიკაში პირველ კვარტალში აშენებული საცხოვრებელი სახლების მზაობის შერჩევითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ იგი მთლიანად როდი აკმაყოფილებს ხარისხისადმი გაზრდილ მოთხოვნებს: სამი სახლი — თბილისში, გორსა და გაგრაში ჯერ კიდევ მზად არ არის შესახლებისათვის. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ სამშენებლო კომპლექსის მუშაობასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის თათბირზე აღინიშნა, თუ 15 მაისამდე არ აღმოიფხვრება გამოვლენილი ნაკლოვანებანი, სახლები ამოღებული იქნება საგეგმო ანგარიშგებიდან.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში მშენებარე შენობების ხარისხში გარკვეული ძვრები მოხდა. მრავალმა მათგანმა გადააჭარბა ვარგისობის საშუალო საკავშირო დონეს. მაგრამ ეს ცვლილებები შეიძლება უფრო არსებითი აღმოფილიყო, ხელი რომ არ შეეშალა საშენი მასალების მიწოდების ჩაფუშვას, მათს დაბალ ხარისხს. მშენებლობა ხომ ის დარგია, რომელიც გადამწყვეტწილად დამოკიდებულია მომჯანვეთა, კერძოდ, საშენი მასალების ინდუსტრიის, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის რიტმულ მუშაობაზე. მაგალითად, უკვე კარგა ხანია სამშენებლო კონვეიერის მუშაობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს ცემენტის ნაკლებობა. მარტო კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატმა წლის დამდეგიდან მშენებლობას დააკლო 40 ათასი ტონა ცემენტი. ქრონიკულად აკლიათ აგრეთვე აგური, ქვიშა, პემზა. შექმნილი ვითარებისათვის პასუხისმგებელი დარგები გვპირდებიან რომ უახლოეს ხანს აღმოფხვრიან სხვაობას. მაგრამ გეგმების დაგვიანებული მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაც კი ვერ აანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც უკვე განიცადეს მშენებლებმა არარიტმული მიწოდების გამო.

ცუდად წყდება საშენი მასალების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა, შეშფოთებით აღინიშნეს სხდომაზე. მაგალითად, შვიდი დარგი ამზადებს მშენებლებისათვის პარკეტს, და შვიდივეს მიერ დამზადებული პარკეტი ერთნაირად უგარგისია. ყველაზე დიდ წუნისმკეთებელთა შორის დაასახელეს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი, ადგილობრივი მრეწველობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროები.

სერიოზულ პრობლემად იქცა მშენებლობების ადგილობრივი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაც. მაგალითისათვის მოიყვანეს დმანისის რაიონი, სადაც სკოლის მშენებლობაზე არც ერთი ადგილობრივი მცხოვრები არ მუშაობს, ასეთი ფაქტები რაიონული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს.

მშენებლებს ბევრი პრობლემა აქვთ, აღინიშნა სხდომაზე. და ამ პრობლემების გადაჭრა საჭიროა ოპერატიულად, უნდა გამოვძებნოთ ახალი რეზერვები, მთლიანად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი. (საქინფორმი).

ᲣᲮᲕᲓᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

25-26 აპრილს ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავების რესპუბლიკური დათვალიერება

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში 25-26 აპრილს მოეწყობა ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებისა და მოსავლის მაქსიმალური შენარჩუნების რესპუბლიკური დათვალიერება. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომბინატებ, რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებებმა უნდა განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები — დათვალიერებისათვის უნდა შეიქმნას რესპუბლიკური სალაქო და რაიონული კომისიები; ასეთივე კომისიები იქმნება თითოეულ საზოგადოებრივ მეურნეობაში. კომისიებმა ადგილზე გულდასმით უნდა შეამოწმონ ხეხილის ბაღები და მასალები რაიონულ კომისიებს წარუდგინონ 25 აპრილამდე.

კომისიებმა ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობის ბაღები საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ბრიგადების, აგრონომების გათვალისწინებით; აგრონომიკურ სამუშაოთა შესრულება მოცულობის, ვადებისა და ხარისხის მიხედვით უნდა შეფასდეს ხუთბალიანი შკალით.

იმ საზოგადოებრივი მეურნეობების აგრონომიკურ ღონისძიებათა უფროსებისა და ბრიგადების საკითხი, რომელთა მუშაობა 2 და 3 ბალით შეფასდება, განსახილველად და ზომების მისაღებად უნდა გადაეცეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს;

მასალები და მოხსენებითი ბარათი დათვალიერების საბოლოო შედეგების შესახებ, რომლებშიც აღნუსხული იქნება მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობების მაჩვენებლები (აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად განუხორციელებლობის, სამუშაოთა ვადების დარღვევით და უხარისხოდ შესრულებისა) უნდა წარმოადგინონ რესპუბლიკის სახაგრომრეწვში არა უგვიანეს 30 აპრილისა.

ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის წარმოების და გადამუშავების მთავარმა სამმართველომ დათვალიერების მასალები უნდა შეიჯამოს და წარმოადგინოს განსახილველად.

დათვალიერების მიზანი ის არის, რომ გულდასმით შემოწმდეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღები, გამოვლენილი ნაკლოვანებებისათვის დროულად დაისახოს გამოსწორების ღონისძიებები და მშრომელები დაკრაზმოთ მეთორმეტე ხუთწლეულის ხილის უხვი მოსავლის მისაღებად. ამისათვის საჭიროა აგროწესების ზუსტი დაცვით ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობა, სარეველებისა და მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, რწყვის საქმის მკვეთრად გაუმჯობესება და სხვა.

ᲣᲮᲕᲓᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ

25-26 აპრილს ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავების რესპუბლიკური დათვალიერება

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ! ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ!

ᲒᲐᲛᲝᲕᲫᲔᲑᲜᲝᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ასუხსაბები და საპატიო ამოცანა უნდა გადაწყვიტოს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ. უნდა მივაღწიოთ წლიური გეგმით გათვალისწინებული წარმოების მოცულობის ზრდას. წლის პირველი ნახევრის დამლეკვისათვის ამ მაჩვენებელმა 103,7 პროცენტი უნდა შეადგინოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამ თვეში გამოსამშვებია 2625 მილიონი მანეთის, ანუ კვარტალის დავალებით ნავარაუდევზე 27 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია.

ეს ამოცანა სრულიად რეალურია, თუ გავითვალისწინებთ მრეწველობის მთელი რიგი დარგების პოტენციურ შესაძლებლობებს, იქ არსებულ გამოყენებულ რეზერვებს. სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან დარაზმონ კოლექტივები დამატებითი შესაძლებლობების გამოსანახავად და მიზნის მისაღწევად.

ყველაფერი ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1987 წლის პირველი კვარტალის შედეგები და დასახეს მეორე კვარტალის დავალებათა უთუო შესრულების ღონისძიებანი.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში წინა პლანზე წამოვწიეთ მეორე კვარტალში გადასაწყვეტი ამოცანები და ეს შემთხვევით არ გაგვიკეთებია. საქმე ის არის, რომ მიუხედავათ გარკვეული დადებითი შედეგებისა, პირველ კვარტალში მიღწეული დონე მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სრულიადაც არ არის საკმარისი.

დიახ, არის გარკვეული დადებითი შედეგები. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებულზე მეტს მიაღწია. მარშანდელ ამავე პერიოდში მიღწეულ დონეს იგი 0,4 პროცენტით აღემატება. შესრულდა ნავთობის, ქვანახშირის და გაზის მოპოვების, ფოლადის დნობის, ელექტროკარების, მაგისტრალური ელმავლების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, ავეჯის, ტრიკოტაჟის საცვლების, ტყავის ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმები. არის წინსვლა უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის დამზადების მხრივ, გაუმჯობესდა მდგომარეობა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასულ საწარმოებში, ხარისხის საკითხებს ცალკე კორესპონდენციას მივუძღვნით ამ დღეებში და ამიტომ დღეს მათ აღარ შევეხებით.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, არ გვაკმაყოფილებს პირველი კვარტალის შედეგები, და ამით ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა დაგვაკლეს 13,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების მოცულობის 0,2 პროცენტით ზრდის ნაცვლად, მათ მთელი 1,5 პუნქტით შეამცირეს იგი. 4,7 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია დაამზადეს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. სამინისტრო ძალიან დაალალტეს ნედლეულისა და მასალების მომწოდებელმა ორგანიზაციებმა, მაგრამ უაქტი ფაქტად რჩება. უმძიმესი მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, სადაც წარმოების მოცულობა მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 19,8 მილიონი მანეთით შემცირდა. სამინისტროს არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსაყვანად გადასაწყვეტია ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის მრავალი ურთულესი პრობლემა. ასეთივე მდგომარეობაა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებიდანაც მარშანდელ შესაბამის პერიოდთან ყოველმა მეორემ შეამცირა წარმოების დონე და გამოუშვა 60 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია.

აკვლავინდებურად დაძაბული მდგომარეობაა პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების მხრივ. მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით მაინც გაუარესდა. მომმზადებელმა მიიღო გათვალისწინებულზე 33,5 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია. მთლიანად რესპუბლიკაში სახელმეურეველო დისციპლინა დაარღვია 89 საწარმომ. მათ შორის ბევრია საკავშირო დაქვემდებარების საწარმო. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ, მაგალითად, შემკვეთს ვერ მიაწოდა მილიონობით მანეთის პროდუქცია, „საელექტრომანქანის“, „ნარხმშენებლის“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებებმა შესაბამისად — 900 ათასი, 800 ათასი და 500 ათასი მანეთის პროდუქცია, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა — 11,8 მილიონი მანეთისა. გაუგებარია ის ფაქტი, რომ იგივე მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მოითხოვს სწორედ ისეთი სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებას, რომლის მიხედვითაც ვერ შესრულდა მიწოდების ვალდებულება.

როგორც წარმოების მოცულობის ზრდის გეგმის შესრულებას, ისე სახელმეურეველო დისციპლინის მთლიან დაცვას ხშირად ხელს უშლის საწარმოების ნედლეულით, მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწილებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგება. ეს მართალია, მარგამ, სწორია ისიც, რომ წინსვლას ძირითადად მაინც საგეგმო და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა, არცთუ იშვიათად, მათი უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა აფერხებს. საღა ამ საკითხზე განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავენ, შედეგსაც აღწევენ. სტიქიით გამოწვეულ დაბრკოლებათა მიუხედავად, „საქსამოქმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებამ ასი პროცენტით შეასრულა პროდუქციის მიწოდების ვალდებულება. წარმატებას მიაღწიე ამ მხრივ აგრეთვე ზესტაფონის „საკაბელის“, თბილისის სანსტრუმენტო და ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხნებმა, სხვა საწარმოებმა..

გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმაც, თუმცა დასამშვიდებელი ოდნავადაც არაფერი გვაქვს. პირიქით, ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მარშანდელ პირველ კვარტალში მიღწეულ დონესთან შედარებით ეს მაჩვენებელი 241 საწარმომ შეამცირა და ეს ძალიან დიდი ციფრია. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ 50 საწარმოში შრომის ნაყოფიერება დამატებითი მომსახურე პერსონალის მოზიდვის ხარჯზე გაიზარდა. უფრო უარესია ის, რომ 89 საწარმოში გათვალისწინებულზე მეტმა მუშახელმა საქმეს ვერ უშველა და ზრდის ნაცვლად შრომის ნაყოფიერება შემცირდა. ამიტომ გაერთიანებებმა და საწარმოებმა, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას და მით უმეტეს შეამციროს ეს მაჩვენებელი მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყველაფერი უნდა იღონონ ეკონომიურ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, არ დაუშვან ფლეგმითი პერსონალის დასაქმება, დაიცვან თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის.

მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, ენერგეტიკასთან, ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული საქმის ვითარება მოწმობს, რომ ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი. ნაგარიმო პერიოდში გაძვირდა სახა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის წინ

ჩემი აზრით, ნომენკლატურულ თანამდებობაზე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა არ უნდა მუშაობდნენ 65 წელს გადაცილებული მუშაკები. ჯერ ერთი, მათ ფიზიკურად არ შეუძლიათ გაუძლონ დღევანდელ მოთხოვნებს, რომელთა შესასრულებლად მხოლოდ გამოცდილება არ კმარა. მეორეც, ახალგაზრდების ცოდნას და გამოცდილებას არ ეძლევა გასაქანი ძველი კადრების კონსერვატიზმის გამო.

ბ. ლეშავა,
საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის ინსტრუქტორი.

მოვაკავალ ხელმძღვანელს საფუძველი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში ეყრება. სტუდენტი იქ უნდა დაეუფლოს ხელმძღვანელობის ხელოვნებას. ეს საქმე კი ჩვენს ინსტიტუტებში, სამხოვენ ყველა რანგის მუშაკისა და სპეციალისტის არჩევას ხალხისაგან. ჩემი აზრით, უნდა განისაზღვროს იმ ხელმძღვანელთა ნომენკლატურა, რომელიც ხალხის არჩევას ექვემდებარება. პარტიულმა ორგანოებმა დემოკრატიზმს უნდა შეუხამონ ცენტრალიზმი.

ბ. მახარაძე,
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის წევრობის კანდიდატი.

სქკპ XXVII ყრილობის შემდგომ პერიოდში ქვეყნის პარტიულ ორგანიზაციებში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კრებების, სხდომების და ათასგვარი თათბირების შემცირებისათვის. მაგრამ, ვფიქრობ, ამ მიზნით კვლავ ბევრია მოსაგვარებელი. აი ელემენტარული ანალიზი: მე, როგორც ქარხნის პარტბიუროს მდივანი, რომ არაფერი ვთქვა პარტიულ კრებასა და ბიუროს სხდომაზე, თვეში ერთჯერ ვესწრები კომკავშირის კომიტეტის სხდომას და კომკავშირულ კრებას, პროფკავშირის კრებას, თითქმის ყველა საამქრო პარტიული ორგანიზაციის კრებებს, ხოლო თუ ამას რაიონულ ღონისძიებებს დავუმატებთ, ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კიდევ არაფერი, გარდაქმნის პირობებიდან გამომდინარე, უნდა შემცირებულიყო რეკომენდებული კრებები, მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ პირიქით ხდება. წელს ქარხანაში ხუთი ასეთი კრება გაიმართა.

ალბათ, ასეთ „გაჭირვებაშია“ ყველა ის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ვისთვისაც პარტბიუროს მდივნობა ძირითადი სამსახური კი არა, საზოგადოებრივი დავალებაა. ვფიქრობ, ზემოაღნიშნულის ფონზე გარდაქმნის ერთ-ერთი მიმართულება — „გადავიდეთ ცოცხალ საქმეზე“ — მაო ლოზუნგად დარჩება, თუ ამ საქმეში თავისი სიტყვა არა თქვეს ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა.

ა. ქათამაძე,
ზესტაფონის ქარხანა „საქაბელის“ პარტბიუროს მდივანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე, სხვა საკითხებთან ერთად, მსჯელობა იქნება საკადრო მუშაობის სრულყოფის, ხელმძღვანელის როლისა და ავტორიტეტის პასუხისმგებლობის, პირადი მაგალითის შესახებ.

მე სწორედ პირადი მაგალითის შესახებ მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ათეული წლების მანძილზე ვმუშაობ კოლმეურნეობის ხელმძღვანელად. ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებიდან ზოგი რამ ვიცი ხელმძღვანელისადმი მშრომელთა დამოკიდებულების და ასევე მშრომელებისადმი ხელმძღვანელის დამოკიდებულების შესახებ.

ხელმძღვანელის ავტორიტეტს ვერავითარ ფასად ვერ იყიდი, ვერც სადმე იშოვი, ვერც გრძელი საუბრებითა და სხვისი რჩევა-დარიგებით მოიპოვებ. ხელმძღვანელის მიმართ ხალხის რწმენა მხოლოდ მისი პირადი მაგალითი, ყოფა და ქცევაა.

მე დიდი ადამიანის კობა ჩოხელის მემკვიდრე ვარ, 1948 წლიდან ვხელმძღვანელობ კოლმეურნეობას. აი რა მითხრა მან პირველივე დღეს: თუ პატიოსანი იქნები პირად ცხოვრებაში, ხელს არ შეახებ ხალხის ქონებას, იქნები ავ-კარგის გამრჩევი და სამართლიანი, ხალხი შეგიყვარებს, გვერდში ამოგიდგება, გამოგყვებაო.

კარგი იქნება, თუ ხელმძღვანელის არჩევისა და დანიშნისას ანგარიში გაეწევა მის პირად მაგალითს, მის წარსულს. აი თუნდაც ძველებურად რომ იტყვიან ხოლმე, მის ჯიშსა და ჯილაგს.

ხელმძღვანელის არჩევითობა დემოკრატიზმის უტყუარი ფაქტორია. მე მას მხარს ვუჭერ როგორც კომუნისტი, როგორც ხელმძღვანელი.

ბრძოლია ხალხის ნათქვამი — ხალხი სასწორია, იგი აგწონს, ფასსაც იგი დაგდებს.

ა. კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მზადდება კლენუმი: შენი აზრი, მკითხველო?

წინადადებები, შენიშვნები

წუხაროდ, როდი დგას სათანადო დონეზე. იქ სტუდენტს ცოდნას აძლევენ, მაგრამ იმაზე, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს კოლექტივს, არავინ არაფერს ეუბნება.

ჩემი აზრით, საჭიროა ინსტიტუტებში ვასწავლოთ სტუდენტებს ადამიანებთან მუშაობის ხელოვნება. უმაღლესდამთავრებული კარგად უნდა იყოს დაუფლებული ფსიქოლოგიას, პედაგოგიკას, სამსახურებრივი ურთიერთდამოკიდებულების ეთიკას.

მეცნიერების ამ საფუძვლების შეუსწავლელად ძალიან ძნელია ახალგაზრდა სპეციალისტმა ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს შრომითი კოლექტივის წევრებთან.

ც. ბიორგაძე,
საწირის კოლმეურნეობის მეჩაიე, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი.

კომუნისტი — ეს ყოველთვის იყო დიდი რწმენა, ხალხის იდეალი, კომუნისტი — ეს იყო სამშობლოს ერთგული, თავდადებული... სამწუხაროდ, დღევანდელი ზოგიერთი ხელმძღვანელი კომუნისტი — ეს არის მაქინატორი, მექრთამე, ბიუროკრატი. ისინი ჩვენი საზოგადოების უმცირესობას შეადგენენ და მათ უნდა ვებრძოლოთ. ქრთამი და კომუნისტი ერთმანეთთან შეუთავსებელია, საჭიროა პრინციპული ბრძოლა, მხოლოდ ლაპარაკით ვერაფერს გავხდებით. ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხალხს დაშინებით უთხრა — წერეთ და იხმაურეთ რამდენიც გინდათო! აქედან დასკვნა: მას ზემოდან დიდი თანამდებობის კომბინატორ ე ბ ი უმაგრებენ ზურგს. რატომ? როდემდე?

ბ. მონიავა.
ოჩამჩირის რაიონის კამოს სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

სქკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ სამეურნეო ხელმძღვანელს უნდა მიეცეს მეტი დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს ჯერჯერობით ფორმალური ხასიათისაა. დამოუკიდებლობა ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს თეორიულად, პრაქტიკულად კი მის საქმიანობაში კვლავ ერევიან მათი ზემდგომი ორგანოები, განსაკუთრებით დაგეგმვაში, კადრებით დაკომპლექტებასა და საერთოდ მეურნეობის გაძლიერებაში. დროა, სამეურნეო ხელმძღვანელს მეტი დამოუკიდებლობა მართლა მიეცეს.

დემოკრატიზმის განხორციელებაში, ეტყობა, უკიდურესობაში ვართ ჩავარდნილი. ახლა მოითხოვენ ყველა რანგის ხელმძღვანელი, ეს ეხება ინჟინერ-ტექნიკურ მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ წყალსამეურნეო მშენებლობის ორგანიზაციები სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ტექნიკით, კვალიფიციური მუშახელითა და სპეციალისტებით, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი მოკლებული არიან ამ საშუალებებს, რაც იწვევს შეფარბებს დაშრობილი მიწების გაკულტურება-ათვისებაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ დამშრობი არხების იდი ნაწილი არ იწმინდება და შიგ ბუჩქნარია ამოსული. ამ პირობებში დამშრობი სისტემები არა თუ ვერ უზრუნველყოფს ფართობიდან წყლის შეუფერებლად გაყვანას, არამედ ბევრ შემთხვევაში დაშრობილი მიწების მეორადი დაჭაობების მიზეზიც ხდება.

დაშრობილი მიწების გაკულტურება-ათვისების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია აგრეთვე ის, რომ აღნიშნულ მიწებში სრულებით არ შეაქვთ ორგანული სასუქები და ეს მაშინ, როცა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მიხედვით, ყოველ ჰექტარ დაშრობილ ფართობზე 100 ტონა ტორფი და კომპოსტი მაინც უნდა შევიტანოთ.

რა თქმა უნდა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა კარგად იციან ტორფის სიკეთე, მაგრამ ისინი ისე განსაზღვრული რაოდენობით იღებენ ტორფს, რომ იგი მხოლოდ არსებულ პლანტაციებში შეაქვთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არ სრულდება ტორფის წარმოების საგეგმო დავალება. მაგალითად, მეთერთმეტე ხუთწლედში დაგეგმილი 2,9 მილიონი ტონის ნაცვლად მხოლოდ 1,6 მილიონი ტონა ტორფი დამზადდა. ამასთან გამოშვებული პროდუქციის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

გამორკვეულია, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებს, განსაკუთრებით ახლად გაშენებული პლანტაციების მოვლა-პატრონობას, რის გამოც თავის დროზე ვერ იღებენ მოსავალს და ამის გამო ირღვევა კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების ვადები. არ სრულდება ქარსაცავი ზოლების გაშენების დავალებანი. ზოგიერთ მეურნეობაში სუსტად ინერგება კოლექტიური იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური წახალისების სხვა პროგრესული ფორმები და მეთოდები. ამ საქმეში ჯერ კიდევ არასაკმარისია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანადგომა და პრაქტიკული მონაწილეობა.

კოლხეთის პრობლემებზე ამჟამად რესპუბლიკაში ათზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი მუშაობს. მაგრამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნის ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე. როგორც ითქვა, სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის არ იყო დამყარებული მჭიდრო კონტაქტები, განცალკევებულად ხდებოდა ნორმატივების, რეკომენდაციების შემუშავება, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას. ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად, მუშაობის ახლებურად გარდაქმნის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში შეიქმნა სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც აკადემიკოსი ვ. მეტრეველი ხელმძღვანელობს. ვიმედოვნებთ, რომ სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის გაუქმებამდე ხელს შეუწყობს იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებას.

მომდინარე ეტაპზე კოლხეთის პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. 1987 წლის 20 იანვრის დადგენილებას „საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობის და სასოფლო-სამეურნეო ათვისების ტემპის დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია კოლხეთის მიწების დაშრობა-ათვისების სამეცნიერო-ტექნიკური ნაკლოვანებები და განსაზღვრულია მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები.

დადგენილებით მოწონებული და მიღებულია სახაგრომრეწვის წინადადება იმის შესახებ, რომ დაშრობი სისტემების საექსპლუატაციო სრულყოფის, დაშრობილი მიწების ეფექტიანობის ამაღლების, ათვისების დაჩქარებისა და ნიადაგების გაკულტურების სამუშაოთა კომპლექსურად შესრულების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკური გაერთიანების „საქწყალქსპლუატაციის“ დაქვემდებარებაში შეიქმნა სპეციალიზებული ტრესტი. ამრიგად, „კოლხეთმშენის“ ტრესტთან ერთად ამიერიდან კოლხეთში მოქმედებს მძლავრი საწარმოო ტრესტი, რომელიც ქ. ხობშია და რომლის სამაგალითო ამოცანაა უზრუნველყოს დამშრობი სისტემების შეუფერხებელი ექსპლუატაცია, დაშრობილი მიწების გაკულტურება-ათვისების დაჩქარება.

ამავე დადგენილებით დამტკიცებულია კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების საკითხებზე მოუშავე მეთაური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ჰიდროტექნიკურ-სანიჭინრო საკითხების გადაწყვეტაში მეთაური ინსტიტუტის ფუნქციები დაეკისრა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ხოლო კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების გაკულტურებისა და ათვისების საკითხების რაციონალურად დამუშავებაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას.

იანვრის ბოლო დღეებში და თებერვლის დასაწყისში კოლხეთს, ისევე როგორც რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებს, გამძვინვარებულმა სტიქიამ დიდი უბედურება დაატეხა თავს. ახლა კოლხეთის წინაშე მდგომ ამოცანებს სტიქიის აბობოქრების შედეგად გამოწვეული სიძნელეების დაძლევის პრობლემებიც დაერთო.

კოლხეთი ეშუშებს სტიქიის მიერ მიყენებულ ჭრილობებს და იმისათვის იღვწის, რომ დიდი ოქტომბრის სახელოვან 70 წლისთავს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს.

ზოთა ჭანუყვაძე.

კოლხეთი თავის სიტყვას მაინც იტყვის

კოლხეთი შავი ზღვისპირეთის თვალმარგალიტად აქცია ჩვენმა დრომ, ჩვენმა ხალხმა. კოლხეთის წყიაში დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს მხოლოდ საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ გაეხსნა გზა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი მზრუნველობისა და დახმარების, ზღვისპირეთის მკვიდრთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ვაჟკაცური შემართებისა და მეცადინეობის შედეგად ჭაობმა უკან დაიხია და ჯერ კიდევ ომამდელ ხუთწლედებში კოლხეთის დაბლობი ნარინჯოვანთა ბაღნარებითა და ჩაის ხავერდოვანი პლანტაციებით დამშვენდა.

შეიძლება იკითხონ: რა მოგვცა განახლებულმა კოლხეთმაო.

ძალიან ბევრი როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროში, რაც მთავარია:

— დიდი სამელიორაციო სამუშაოების განხორციელების მეთხებით კოლხეთი არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი საბჭოეთის მასშტაბის სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების მძლავრი ბაზა გახდა; უზრუნველყოფილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტენსიური განვითარება, რის შედეგად დიდად გაიზარდა ჩაისა და ციტრუსების, სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოება და დამზადება.

— ჭარბტენიანი მიწების დიდი მასივების დაშრობა-ათვისებამ საახე უცვალა გარემოს, გაუმჯობესა კლიმატი, რამაც ხელი შეუწყო ტროპიკული მალარიის ლიკვიდაციას და ამით სიცოცხლე გაუხანგრძლივა კოლხეთის მცხოვრებლებს.

ბუნებრივი და კლიმატური პირობების მკვეთრად შეცვლამ ის გამოიწვია, რომ კოლხეთის ზღვისპირეთი ნამდვილ წალკოტად, საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო ზონად იქცა. ამჟამად კოლხეთი — გაგრით დაწყებული და ჭობულეთით დამთავრებული — მთელ ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილია როგორც მილიონობით მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დასვენების შესანიშნავი მხარე.

აი, რა მოგვცა განახლებულმა კოლხეთმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარების დიდი რეზერვია. ამასთან ერთად კოლხეთში მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცების დიდი შესაძლებლობები არის. ყოველივე ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მომავალში კიდევ უფრო გიზარდოს კოლხეთის წვლილი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

სწორედ ამ დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის გამო კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების საკითხები ყოველთვის იყო და არის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყურადღების ცენტრში. კოლხეთის პრობლემების გადაწყვეტისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის სექტემბრის დადგენილებას.

კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების დაშრობა-ათვისების საქმეში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1977 წელს მიღებულ დადგენილებას. ამ დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისია. აღსანიშნავია, რომ კომისიამ შეიმუშავა „კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო მშენებლობისა და მელიორირებული მიწების გამოყენების ძირითადი მიმართულებები“, რომელიც მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, და მიიღეს დადგენილება არსებული მუდმივმოქმედი კომისიის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მელიორაციისა და

სასურსათო პროგრამა:

რეალიზაციის გზები

კოლხეთი თავის სიტყვას მაინც იტყვის

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედ კომისიად გარდაქმნის შესახებ. მუდმივმოქმედმა კომისიამ, რომელსაც დღიდან მისი დაარსებისა სათავეში ედგა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი, ნაყოფიერი მუშაობა გასწია როგორც კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების სამუშაოთა ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ასევე წყლის რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენებისათვის. კომისიის მთავარ ამოცანად დასახულია:

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პრობლემებზე;

— შეათანხმოს მელიორაციისა და წყალსამეურნეო მშენებლობის პრობლემებზე მომუშავე სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საპროექტო და სხვა ორგანიზაციების მუშაობა და კონტროლი გაუწიოს მათს საქმიანობას.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაუჭობესდა სამელიორაციო ობიექტების მშენებლობა და დაშრობილი მიწების ათვისება, რამაც განაპირობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა. 1987 წლისათვის კოლხეთის დაბლობის 225 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი მიწებიდან დაშრობილია 100,9 ათასი ჰექტარი. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში საზოგადოებრივ მეურნეობებს გადაეცათ 31,2 ათასი ჰექტარი დაშრობილი სავარგული, აქედან მრავალწლოვანი კულტურების გასაშენებლად — 7,8 ათასი ჰექტარი.

კოლხეთის ზონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მეთერთმეტე ხუთწლედში, წინა ხუთწლედთან შედარებით, 17,6 პროცენტით გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები იშლება კოლხეთის წინაშე მომავალში, როდესაც ხორცს შეისხამს 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ! დასახული პროგრამა და ჩანაფიქრის ენერგია მოქმედებს ენერგიად იქცევა. ამისათვის კი საჭიროა მთელი ძალების დაძაზმვა და ამოქმედება, მუშაობის ახლებურად გარდაქმნა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ როცა ყრილობისა და იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით გაწეულ მუშაობას ვაანალიზებთ, აშკარა ხდება, რომ ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული ჩვენი დიდი ეროვნული სიმდიდრის — კოლხეთის დაბლობის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი, რომ სამელიორაციო ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის, დაშრობა სისტემების ექსპლოატაციისა და მელიორირებული მიწების ათვისების დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს „ვიწრო“ ადგილად ითვლება დაშრობილი მიწების გაკულტურებისა და მათი შემდგომი სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხი. ამის გამო სამელიორაციო სამუშაოებში გამოიკვეთა დისპროპორცია, ერთი მხრივ, წყალსამეურნეო მშენებლობის ტემპსა და, მეორე მხრივ, დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებას შორის. მრავალწლოვანი კულტურების გასაშენებლად განკუთვნილ მიწებზე არ სრულდება სამელიორაციო სამუშაოთა დავალებანი. ამასთან ერთად კოლხეთის რეგიონის ზოგიერთ რაიონში სრულად არ არის გამოყენებული მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების წარმოების გადიდების, სოზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ხელსაყრელი პირობები. განსაკუთრებით ჩამორჩენა საკვები სოიის წარმოების საქმე, რომელიც გადაუჭრელი პრობლემა გახდა საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის.

რესპუბლიკაში ჩაის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუჭობესების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა ჩაის პლანტაციების რაც შეიძლება ფართო მასშტაბით გაშენებაა, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარებას აფერხებს ის, რომ ჩაის პლანტაციებისა და ნიადაგის ტექნიკურ მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ წყალსამეურნეო მშენებლობის ორგანიზაციები სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ტექნიკით, კვალიფიციური მუშახელითა და სპეციალისტებით, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი მოკლებული არიან ამ საშუალებებს, რაც იწვევს შეფარბებს დაშრობილი მიწების გაკულტურება-ათვისებაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ დაშრობი არხების იდი ნაწილი არ იწმინდება და შიგ ბუჩქნარია ამოსული. ამ პირობებში დამშრობი სისტემები არა თუ ვერ უზრუნველყოფს ფართობიდან წყლის შეუფერხებლად გაყვანას, არამედ ბევრ შემთხვევაში დაშრობილი მიწების მეორადი დაჭაობების მიზეზიც ხდება.

დაშრობილი მიწების გაკულტურება-ათვისების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია აგრეთვე ის, რომ აღნიშნულ მიწებში სრულებით არ შეაქვთ ორგანული სასუქები და ეს მაშინ, როცა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მიხედვით, ყოველ ჰექტარ დაშრობილ ფართობზე 100 ტონა ტორფი და კომპოსტი მაინც უნდა შევიტანოთ.

რა თქმა უნდა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა კარგად იციან ტორფის სიკეთე, მაგრამ ისინი ისე განსაზღვრული რაოდენობით იღებენ ტორფს, რომ იგი მხოლოდ არსებულ პლანტაციებში შეაქვთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არ სრულდება ტორფის წარმოების საგეგმო დავალება. მაგალითად, მეთერთმეტე ხუთწლედში დაგეგმილი 2,9 მილიონი ტონის ნაცვლად მხოლოდ 1,6 მილიონი ტონა ტორფი დამზადდა. ამასთან გამოშვებული პროდუქციის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

გამორკვეულია, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებს, განსაკუთრებით ახლად გაშენებული პლანტაციების მოვლა-პატრონობას, რის გამოც თავის დროზე ვერ იღებენ მოსავალს და ამის გამო ირღვევა კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების ვადები. არ სრულდება ქარსაცავი ზოლების გაშენების დავალებანი. ზოგიერთ მეურნეობაში სუსტად ინერგება კოლექტიური იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური წახალისების სხვა პროგრესული ფორმები და მეთოდები. ამ საქმეში ჯერ კიდევ არასაკმარისია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანადგომა და პრაქტიკული მონაწილეობა.

კოლხეთის პრობლემებზე ამჟამად რესპუბლიკაში ათზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი მუშაობს. მაგრამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნის ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე. როგორც ითქვა, სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის არ იყო დამყარებული მჭიდრო კონტაქტები, განცალკევებულად ხდებოდა ნორმატივების, რეკომენდაციების შემუშავება, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას. ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად, მუშაობის ახლებურად გარდაქმნის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში შეიქმნა სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც აკადემიკოსი ვ. მეტრეველი ხელმძღვანელობს. ვიმედოვნებთ, რომ სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის გაუქმებამდე ხელს შეუწყობს იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებას.

რა და რაცხა მოხდა წარჩენში?

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი ადამიანის მრწამსი, მისი შეგნების დონე, ზნეობრივი და მორალური თვისებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ატმოსფეროს ავ-კარგს, ამიტომაც თვლის პარტია იდეოლოგიურ მუშაობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების ერთ-ერთ საუკეთესო საშალებად. იქ, სადაც იდეოლოგიური მუშაობა სათანადო დონეზეა, შრომის ნაყოფიერებაც მაღალია და საზოგადოებრივი ურთიერთობანიც მოწესრიგებულია, ნაკლებია უზნეო, ამორალური საქციელის გამოვლინებანი და, ცხადია, დანაშაულიც. ხოლო იქ, სადაც ეს მუშაობა მოისუსტებს, თავს იჩენს ხარვეზები და ნაკლოვანებანი ცხოვრების ყველა სფეროში. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, როცა გალის რაიონის ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობას გავეცანით.

წარჩე გალის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. აქ 2 600-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. სოფელში არის ორი საბჭოთა მეურნეობა, ორი საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. საზოგადოებრივ მეურნეობებს აქ წარმატებული მუშაობის საუკეთესო ბუნებრივი პირობები აქვთ. წარჩეს მიწა-წყალზე ჩინებულად ხარობს ციტრუსი, ჩაი, სომხიდი. კარგი პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის. ვერ ვიტყვით, რომ ამას აკეთრები არ იყენებენ. სოფელს ჰყავს გამრჯე ადამიანები, როშლებიც ძალღონეს არ იშურებენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს მოსავალი და დოვლათი გაცილებით მეტი იქნებოდა, სოფელში მეტი ერთსულოვნება, დარაზმულობა რომ სუფევდეს, პატიოსანი მშრომელების გვერდით რომ არ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც უშრომელი შემოსავლისაკენ, იოლი ცხოვრებისაკენ უკერავთ თვალი. ასეთი ტენდენცია ხელს უწყობს უზნეობისა და დანაშაულის გავრცელებას, ეს კი სწორედ ადამიანებთან სუსტი იდეურ-აღმზრდელობითი, ინდივიდუალური მუშაობის შედეგიც არის.

განა ლოთობა, უმიზნო და უადგილო ღრეობა, ფრეგადასული ქორწილები, წვეულებები, ქელეხები უზნეობის გამოხატულება არ არის?

სწორედ ასეთ წრეგადასულ წვეულებას მოჰყვა ის დანაშაული და უბედურება, რომელიც მიმდინარე წლის 18 იანვარს წარჩეში მოხდა. ამ სოფლის ეშმის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშამ იური ჩერქეზიამ დიდი წვეულება გამართა ბავშვების ნათლობასთან დაკავშირებით. მოიწვია მეზობლები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები.

ლხინს, რომელიც საგანგებოდ მოწყობილი სეფაში გაიმართა, სამასზე მეტი კაცი ესწრებოდა. ვიდრე სტუმრები სუფრას მიუსხდებოდნენ, მათი ერთი ნაწილი ცალკე განაპირდა და აზარტული თამაში გააჩაღა. როგორც დასწრენი გადმოგვცემენ, მოთამაშეთა შორის საკმაოდ დიდი თანხა ტრიალებდა და ამის კვალობაზე ძალი მისახვედრი არ არის, რომ წაგება-მოგებაც სოლიდური იყო. ეს გარემოება კი, ჩვეულებრივ, მოთამაშეთა შორის გაცხარებას და ჩხუბს იწვევს. სწორედ ამ ნიადაგზე მოუვიდათ ჩხუბი სერგო გაგუას და ვალტერ მიქაიას. თამაშის დროს წამოჭრილი ეს დავა და კონფლიქტი ლხინს სუფრაზე და წვეულების დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტილა და დამცხრალა. პირიქით, უფრო გამწვავდა და სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფად გადაიზარდა ს. გაგუა და ვ. მიქაია საცემრად მიიწევდნენ ერთმანეთისაკენ და დამსწრეებმა ძლივს გააშველეს, შემდეგ მოჩხუბარი თითქოს დაწყნარდნენ და ორივე მხარე თავთავიანთი სახლებისაკენ გაემართა...

მაგრამ, როგორც ეტყობა, აღრე ნასამართლევმა ს. გაგუამ ბოლმა ჩაიდო გულში, მივიდა შინ, გამოიყვანა ოჩამჩირის რაიონის კულტურის სახლის ავტობუსი, რომელიც ეზოში ეყენა, და ვ. მიქაიას მოკვლის განზრახვით გაემართა მისკენ. დაეწია შარაგზაზე შვილთან ერთად მიმავალს, დაჯახა მას მანქანა და სასაკვდილოდ დაიშავა, თვითონ კი მიიმალა...

სოფელში დიდი უბედურება დატრიალდა. სრულიად უმიზეზოდ, ღრეობისა და აზარტული თამაშის დროს წამოჭრილი დავისა და კინკლაობის შედეგად სიცოცხლეს გამოესალმა

რადგანაც კაცნი გვქვიან...

„სიმდაბლე — სიტყვით ძველად
საჩენი, — საძმით აძუს
არსება“

დიად გარდაქმნათა პროცესი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო, თანაბრად და გამოუკლებლივ ეხება ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგს, ქუთხესა თუ კუნჭულს, და გადაჭრებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უმთავრესად და უპირველად — მორალის, ეთიკის სფეროს. წინათ მივიწყებული ადამიანის ფაქტორი ვერ იქცევა გარდაქმნათა ქვაკუთხედად, თუ თვით ადამიანის სათნოებათა საყოველთაობას ვერ მივაღწევთ.

ამ თვალსაზრისით გაზეთ „კომუნისტის“ ახალი რუბრიკა „გარდაქმნის ეთიკური კვანძი“ (სხვათა შორის, სიტყვა „კვანძს აყოფებდა „არე“) უფრო მომცველი ცნებაა, მოწოდებასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

ბევრი იწერება იმ სათნოებათა შესახებ, ასე რომ უნდა ამშვენებდეს საბჭოთა ადამიანს, მაგრამ ისიც იწერება, რომ მომხდარა ამ სათნოებათა გარკვეული დევალუაციაც. რა ხდება? ცალსახა ფასმაპირობებელი მიზეზის ძიება ამ მიმართულებით გაუმართლებელია. ალბათ პირობათა მთელი კომპლექსია გასათვალისწინებელი იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ იგრძნო თვალო�sად მანკიერებათა ბაცილამ ჩვენს საზოგადოებაში. ეს სპეციალურ და ღრმა გამოკვლევას მოითხოვს, გადაუდებლად საჭიროცაა ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი. ეს კითხვა ფართო საზოგადოებას აწუხებს დღეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სასიკეთო ძვრებს ჩვენს ცხოვრებაში სათანადო პასუხიც მოჰყვება.

აქ ჩვენ მხოლოდ ერთ სათნოებათაგანს შევეხებით — თავმდაბლობად რომ იწოდება. ფაქტია, რომ ფილოსოფოსნი (და ღვთისმეტყველნიც) აქებდნენ ადამიანში თავმდაბლობას, მიიჩნევდნენ მას დიდ სათნოებად და ეიცხავდნენ მის საპირისპირო ქმედებას — ამპარტავნობას, ქედმაღლობას. ფილოსოფოსები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ, რაკი თავმდაბლობა კარგია, სათნოებაა, იგი ყველა ადამიანს თანაბრად უნდა მოეთხოვებოდეს; არ შეიძლება ერთნი მხოლოდ თავმდაბლობისათვის „გავწიროთ“, ხოლო მეორენი — საამპარტავნოდ. თუ მართლა ქედმაღლობასთან მიმართებაში დავადგენთ თავმდაბლობის შინაარსს, მაშინ მისი უპირატესობის საქადაგებლად ბევრი საბუთი არ აღმოგვაჩნდება: მავანს შეუძლია თქვას — საზოგადოებას ორიოდე სანიმუშო თავმდაბალი არასოდეს შემოელევა და კვლავაც დარჩება ადგილი ამპარტავანთათვისო. სწორედ ამ მავანის პოზიცია საზოგადოებრივად საშიში და მიუღებელი, იგი ფაქტობრივად აფიქსირებს სიკეთისა და ბოროტების თანაარსებობის გარდაუვლობას, გამორიცხავს სათნოებათა აღზრდის შესაძლებლობას. ჩვენ იმასაც მივიჩნიეთ, რომ ცალმხრივად, ერთმნიშვნელოვნად მივანიშნებთ სათნოებათა თუ მანკიერებათა წყაროდ პიროვნების კლასობრივ ან სოციალურ წარმომავლობას. ისტორიული ფაქტები კი ხშირად ამის საპირისპიროდ მეტყველებს.

მცდარი უნდა იყოს პოზიციაც, როდესაც თავმდაბლობის სადემონსტრაციოდ მხოლოდ დიდ ადამიანებს მიმართავენ. ამან შეიძლება წარმოშვას ყალბი წარმოდგენა, თითქოს თავმდაბლობა მხოლოდ „დიდებს“ მოეთხოვებათ. მკაცრად უნდა დავადგინოთ, რომ თავმდაბლობა სხვა სათნოებათა თანაბრად ადამიანური მოვალეობაა, ადგილს ადამიანს ადამიანად. სხვაგვარად მანკიერებათა გაკიცხვაზე მსჯელობას აზრი დაეკარგებოდა. რა არის, მაშ, ეს თავმდაბლობა — ასე საკვლევებულო საერთოდ ადამიანისათვის?

ეთიკის მეცნიერებაში ცნობილია, რომ ზნეობის კატეგორიათა ლოგიკური დემონსტრაცია ძალიან ჭირდა. დღეს ერთი მიმართულება ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში (ლოგიკური პოზიტივიზმი) ამ საბუთით გამორიცხავს ეთიკის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ის ითქვას (გაკვრით), რომ ეთიკაში მართლაც ბევრი ლოგიკური სიძნელეა იჩენს თავს, მაგრამ არა გვგონია მხოლოდ ამის გამო ათეული წლების მანძილზე საბჭოთა უმაღლესი სკოლა მოკლებული იყო ეთიკის მეცნიერების სწავლებას. კარგია, რომ დღეს გვაქვს მარქსისტულ-ლენინური ეთიკა და იგი წარმატებითაც იკითხება ყველგან. საჭირო კია ამ ცოდნას ფართო მასები ეუფლებოდნენ.

სათნოებათა განხილვის დროს ერთ ლოგიკურ სიძნელეზე მიანიშნებდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრეწოელ, რომლის სიტყვები ამ სტატიას ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული, და იქვე განმარტავდა: ეს ჰგავს ამბავს — კაცს თაფლის გემო არ ენახოს და სიტყვით ცდილობდეს მის გადმოცემასო. არის აქ რაღაც სწორ ვითარებაზე მინიშნებული. მართლაც, ამ სათნოების პატრონი რომ არ ლაპარაკობს თავის დამსახურებაზე, ეს თვით თავმდაბლობის ნიშანია, მაგრამ სხვასაც უჭირს გადმოსცეს ამ სათნოების სიკეთე, თუ მისი დემონსტრაცია არ მოახდინა საქმეზე მითითებით. ეს საქმე კი თვითონ გამოაჩენს მის მქმნელს მთელი თავისი სიდიადით. რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ სიდიადეში? ხუთუ თვითონ საქმე? შემონაქმედი? რა თქმა უნდა, ისიც, მაგრამ ხომ ვიცით ისეთი ადამიანებიც, რომელთაც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე კი ვიუკეთებიათ, მაგრამ — აფიშირებთ, ყველრეკებთ, განსაკუთრებული პრივილეგიებს მოთხოვნით. ვერ ვიტყვით, ასეთ ადამიანებზე, რომ ძვალ-რბილში გასჯდომოდეთ თავმდაბლობის სათნოება.

ძირი თავმდაბლობისა პიროვნების ისეთ მოღვაწეობაში უნდა ვეძიოთ, რომელშიც ეგრეთ წოდებულ პირად საქმეს იგი მოყვასისათვის ზუნვად განიცდის. ასეთ დროს შედეგი არ საჭიროებს რეკლამას, მით უმეტეს — თვითრეკლამას, ვინაიდან მისმა მქმნელმა თვითვე განაშზადა საქმენი თვისი საქვეყნოდ. მოვალეობის მაღალი თვითშეგნება და მასზე დაფუძნებული თავისუფალი მოქმედებაა იმ ბიბლის მიზეზი, რომლითაც მთელი საზოგადოება განეწყობა შემოქმედებისადმი. ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, შემოქმედის თავმდაბლობის ერთადერთი ნამდვილი საზღაური.

თუ თავმდაბლობა სათნოებაა (ეს კი ნამდვილად ასეა), მაშინ იგი საერთო ადამიანურ მოვალეობად უნდა გავიგოთ. ამ ფონზე აქვს ძალა ხატვად გამოთქმას — „არ არსებობსო დიდი და პატარა საქმე“, მთავარია როგორ აკეთებ მას. შეიძლება პატარა საქმეს დიდსულოვნად აკეთებდე და იყო სათნო, ხოლო დიდ საქმეში სულმოკლეობდე და იყო მანკიერი. ეგ კია, რომ დიდთა საქმეთა მეთაველნი უფრო საჩინონი ხდებიან თავიანთი სათნოებითაც და მანკიერებითაც (სწორედ საქმეთა მასშტაბურობის გამო).

ერთი რამეცაა აქ საგულისხმო. მეტისმეტად მკაცრი ხომ არ არის თავმდაბლის ზნეობრივი მოვალეობა — თვითონ არ გაუწიოს თავის ნამოღვაწარს რეკლამა. ხომ შეიძლება, რომ კეთილი საქმე საზოგადოებამ ვერ გიგოს შემოქმედის განმარტების გარეშე? უდავოდ ყურადსაღებია ამ მხრივ პეტრწეს ერთი შეგონებაც: „სათნოებათა განცხადება კეთილ არს, უკეთუ არა ზუაობდეს გონებითა“ (არ ამპარტავნობდეს, არ ამაყობდესო).

დიახ, უნდა ითქვას, რომ ესა და ეს საქმე კეთილია, ესა და ეს მოქმედება სათნოებაა, მაგრამ ითქვას ისე, რომ არ დაამუხათო საზოგადოება.

აქ დაისმის ორი საკითხორტო კითხვა: 1. რა ზიანი მოაქვს თავმდაბლობის, როგორც სათნოების, ზემოთ მითითებულ დევალუაციას და 2. ექვემდებარება თუ არა ეს სათნოება აღზრდას.

პირველ კითხვასთან დაკავშირებით ორი რამ უნდა ითქვას. თუ თავმდაბლობის მინიშნებულ გაგებას დაეეყრდნობით, ცხადია, მაშინ ვინც არ თავმდაბლობს, იგი ან საერთოდ არ ზრუნავს მოყვასისათვის, ანდა მოყვასისათვის ზრუნვის ნიღაბაფარებული თავის საქმეს აკეთებს. ამ აზრის სისწორე იოლად დისტურდება ზოგიერთი ხელმძღვანელის, განსაკუთრებით პირველი პირების მაგალითზე. თუ რაიკომის მდივანი ამპარტავნობს, დიდგულობს, ქმნის ისეთ ატმოსფეროს, როცა მისი კრიტიკა, მისთვის რჩევა და გასწორება შეუძლებელი ხდება, ამით იგი ცდილობს საერთო საქმეში თავისი პირადი დამსახურება და ღირსებები მთავარ და განმსაზღვრელ პირობად წარმოაჩინოს, ხალხი დაარწმუნოს, რომ რაიონში ყოველივე სასიკეთოს სათავე თვითონაა, ხოლო ზემდგომ ხელმძღვანელს შთაბეჭდილება შეუქმნას, რომ სწორედ იგია და არა სხვა ჯილდოსი და დაწინაურების ღირსი.

მეორეც, „სული მდაბალი არ წარიპარვის ბაგეთა სიცრუვითა“, ხოლო ქედმაღლობა და ამპარტავნობა ბადებს სიცრუეს, სიცრუე კი „თავია ყოვლისა ბოროტებისა“, გვასწავლის რუსთაველი. ცხადია, თავმდაბლობის დევალუაციამ ჩვენში ფართო გზა გაუხსნა ყალბისმქმნელობას, რასაც შედეგად მოჰყვა ბოროტება, რომელიც ძვირად დაუჯდა საზოგადოებას.

და ბოლოს, აღზრდის პრობლემა. სათნოებათა აღზრდა რომ არ შეიძლებოდეს, საერთოდ აზრი დაეკარგებოდა ამაზე ლაპარაკს. დიდია ძალა სიკეთისა და მის სასარგებლოდვე მეტყველებს უამრავი ფაქტი ისტორიიდანაც და ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდანაც. რამდენი გვინახავს სათნო ადამიანის ნიღაბაფარებული „ვარლამები“, რომელთაც მხოლოდ ბინძური საქმეები უკეთებიათ? რისთვის სჭირდებათ მათ ეს ნიღბები? დიახ, თამაშობენ სიკეთეს, ემალებიან სიკეთის დიდ წყაროს — ხალხს, „შვილთა სოფლისას“. დღეს სათნოთა აღზრდისათვის ზრუნვა შეიძლება ნიღბების ჩამოხვევით დავიწყოთ. ისე კი, ზრდილნი არასოდეს გამოგვლევიან, კიდევაც დაიზრდებიან, ოღონდაც კარგად „გვეცმას მშობლისა“.

ვაჟა გოგოგბერიშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

მაღლი სათნოებისა

ეთიკა კოსმეტიკა როდია. პირსახე შეიძლება ფერ-უმარილით შეილამაზო, მაგრამ პიროვნების ხასიათს, ან იმას, რა ზნეობრივი აგურითაა „ნაგები“ მისი შინაგანი სამყარო, ვერ დამალავ, რადგან კოკასა შიგან რაც დგას...

პატიოსნებისა და თავმდაბლობის, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ეთიკის შესახებ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა სურვილი აღძრა გაამბობთ, რაც ამ დღეებში ჩვენს კოლექტივში მოხდა.

შეიოსე ნელია რაიონის საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობს ანალგაზრდა სპეციალისტი თენგიზ კედია. ადრე თბილისში ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში იყო გულის ქირურგიის განყოფილების ექიმად. ალბარემ და პატივი არ აკლდა, მაგრამ, როცა შესთავაზეს დედაქალაქიდან რაიონში წასვლა, [illegible] თავში ჩასდგომოდა [illegible] ფოს, უყოყმანოდ, ოჯახით ერთად ქარელში ჩამოვიდა.

ბევრ რამეს, რაც ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უკანასკნელ წლებში ჩვენს რაიონში გაკეთდა, მთავარი ექიმის ორგანიზატორულ და საქმიან თვისებებსაც უკავშირდებენ. საავადმყოფო დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ქედიტერი ექიმი ნატალია გარმოზა კი თავისი პაწია ბიჭუნათი, რომელსაც დროებითი ჯანმრთელობის გაუარესება დაუდგინეს, სამიოდე თვის წინათ გომელიდან ჩამოვიდა ჩვენთან სამუშაოდ და საცხოვრებლად. გარმოზებმა ბინაც აქვე, საავადმყოფოსთან ახლოს იქირავეს.

ამ დღეებში ქალაქის ცენტრში 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრდა. საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ოთხი წლის ლოდინის შემდეგ კეთილმწყობილი ბინა მიიღო, და რამდენ დიდი იყო ნატალია გარმოზას გაოცება, როცა ამ ორიოდე დღის წინათ სამუშაოდ მოსულს მაგიდაზე კედიების ბინის ორდერი დაუხვდა, რომელებმაც უარი თქვეს ბინაზე და ორდერი დაუთმეს მათსავით დაქირავებულ ბინაში მცხოვრებ შორეული გომელიდან ქარელში ჩამოსულ ოჯახს. კაცთმოყვარეობა მართლაც ჩვენი, საბჭოური ცხოვრების წესია!..

ქეთევან იკოფვილი,
ქარელის რაიონაავადმყოფოს თერაპევტი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

საკდესის განცხადება

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს მოვლენები, რომლებიც ამჟამად ხდება ავღანეთში და მის გარშემო. და ეს შემთხვევითი არ არის. ქვეყანაში ხორციელდება ეროვნული შერიგების კურსი, რომელსაც სულ უფრო მეტად უჭერს მხარს მოსახლეობის ყველა ფენა და რომელიც ჰიზბეთიურ საერთაშორისო რეზონანსს იწვევს. თანდათანობით გვარდება საერთო ეროვნული დიალოგი, რომელშიც სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ცნობილია, რომ შეიარაღებულ ბრძოლაზე უკვე ხელი აიღო მისმა მრავალმა ათასმა მონაწილემ, ათობით ოპოზიციურმა ჯგუფმა, ხოლო სხვებთან წარმოებს მოლაპარაკება საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ავღანეთში დაბრუნდა 40 ათასამდე ავღანელი, რომლებიც სამშობლოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ. დაამიედებელია ისიც, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტრუქციული პოზიციის წყალობით არსებითი ძვრებია მიღწეული ავღანეთის გარშემო შექმნილი მდგომარეობის ოპოზიციურ მოწესრიგებაში.

ამრიგად, ბოლოს და ბოლოს გაჩნდა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ავღანეთის მეზა-წყალზე დამყარდეს დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა და წესრიგი, რომ მოისპოს დაძაბულობის სანში კერა აზიის შუაგულში. ეს, უთუოდ, დაკმაყოფილებდა არა მარტო ავღანელი ხალხის, არამედ ყველა იმის ინტერესებსაც, ვინც გულწრფელად არის დაინტერესებული იმით, რომ იაროს ეკონომიკური ურთიერთდახმარების ხაბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის დინამიკურ გაფართოებას, მისი შეკანიზმის სრულყოფას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების მოსკოვის 1985 წლის სამუშაო შეხვედრის რეკომენდაციათა შესაბამისად ახალი, პროგრესული ფორმების გამოყენებას. ეს ხაზგასმულია ინფორმაციაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ, რომელმაც მოიწონა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის პოლონეთში მეგობრული სამუშაო ვიზიტისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ვ. იარუზელსკისთან მოლაპარაკების შედეგები.

როგორც ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ინფორმაციაში აღინიშნა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად უჭერენ მხარს სსრ კავშირის კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას, მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელიც სახავს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, უმიო და უძალადო მსოფლიოს შექმნის გზას. ორივე ქვეყანა აქტიურად იმუშავებს ამ ინიციატივებისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებების განხორციელებისათვის.

ვარშავა. დიდ შეფასებას აძლევს რა პოლონეთ-ბულგარეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებს შედეგებს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ბაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მოძმე პარტია განუხრელად უჭერს მხარს სკკპ XXVII ყრილობის გეზსა და სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღისაგან პლანეტის განთავისუფლება.

ვიზიტის დროს მიღებული დებულებანი, აღინიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, ხელს შეუწყობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალისტური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, ყველა დარგში პოლონეთ-ბულგარეთის ურთიერთობის გაფართოებასა და სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განმტკიცებას.

● კუბა

გამოვიდა კრებული

ჰავანა. „სწორი გზით“ — ასე ეწოდება კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტროს სიტყვებისა და გამოსვლების კრებულს, რომელიც პლაია-ხირონში ამერიკის ხალხის გამარჯვების 26 წლისთავის დღეს გამოვიდა. კრებული გამოუშვა გამომცემლობა „ედიტორა პოლიტიკამ“. მასში შეტანილია გასული წლის განმავლობაში ფიდელ კასტროს ძირითადი გამოსვლები.

ფოტოინფორმაცია

პუერტო-რიკო — გაშინგტონის ჩაშძირავი ავიამზიდი

პუერტო-რიკო კარიბის ზღვის პატარა კუნძულ-სახელმწიფოა, რომელსაც შეერთებულ შტატებთან „თავისუფლად შეერთებულის“ ოფიციალური სტატუსი აქვს, სინამდვილეში კი ეს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სამფლობელოა.

რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად პუერტო-რიკოში ახლა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი შეიქმნა.

მაგრამ თეთრ სახლს პუერტო-რიკო იმდენად ეკონომიკურ დანართად არ მიაჩნია, რამდენადაც სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად. ამ კუნძულზე განლაგებულია 15 სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა, ხოლო „რუზველტ როუზველის“ ბაზაში ბირთვული იარაღიც აქვთ.

კუნძულის მცხოვრებნი ვერ ურიგდებიან ვაშინგტონის ეკონომიკური და სამხედრო მძევლების ზვედრს. ისინი სულ უფრო აქტიურად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მოითხოვენ კუნძულიდან მოაშორონ ყველა სამხედრო ბაზა და ბირთვული იარაღი.

სურათზე: ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი პუერტო-რიკოს მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების სიმბოლოა.

პრენსა ლატინა — საკდესის ფოტო.

20 აპრილი ● საკდესი იუწყება

უცხოეთი
ფაქტები • მოვლენები

მოიწონეს შეხვედრის შედეგები

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის დინამიკურ გაფართოებას, მისი შეკანიზმის სრულყოფას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების მოსკოვის 1985 წლის სამუშაო შეხვედრის რეკომენდაციათა შესაბამისად ახალი, პროგრესული ფორმების გამოყენებას. ეს ხაზგასმულია ინფორმაციაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ, რომელმაც მოიწონა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის პოლონეთში მეგობრული სამუშაო ვიზიტისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. იარუზელსკისთან მოლაპარაკების შედეგები.

როგორც ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ინფორმაციაში აღინიშნა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად უჭერენ მხარს სსრ კავშირის კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას, მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელიც სახავს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, უმიო და უძალადო მსოფლიოს შექმნის გზას. ორივე ქვეყანა აქტიურად იმუშავებს ამ ინიციატივებისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებების განხორციელებისათვის.

ვარშავა. დიდ შეფასებას აძლევს რა პოლონეთ-ბულგარეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებს შედეგებს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ბაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მოძმე პარტია განუხრელად უჭერს მხარს სკკპ XXVII ყრილობის გეზსა და სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღისაგან პლანეტის განთავისუფლება.

ვიზიტის დროს მიღებული დებულებანი, აღინიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, ხელს შეუწყობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალისტური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, ყველა დარგში პოლონეთ-ბულგარეთის ურთიერთობის გაფართოებასა და სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განმტკიცებას.

კონტრრევოლუციონერებზე ძალას იკრებენ

ამერიკელი კორესპონდენტის კომენტარი

ნიუ-იორკი. კონტრრევოლუციონერთა ფორმირებებს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური სამხედრო დახმარების განახლებამ შესაძლებლობა მისცა გაეფართოებინათ ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ თავიანთი ტერორისტული ოპერაციების მასშტაბი. ასეთი დასკვნა გამოიტანა სამმა ამერიკელმა კორესპონდენტმა, როლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ალდნენ კონტრევოლუციონერთა ერთ-ერთ ბანდას ჰონდურასის ბაზიდან ნიკარაგუის ტერიტორიაზე თავდასხმის დროს.

როგორც ერთი მათგანი — გაზეთ „ნიუსდეის“ კორესპონდენტი წერს, უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე ახალ დამცავ ფორმაში გამოწყობილი და ავტომატებით, გრანატსატყორცნებითა და „ზედაპირ-ჰაერის“ კლასის რაკეტებით შეიარაღებული კონტრრევოლუციონერები სულ უფრო ხშირად იჭრებიან ნიკარაგუაში.

ელიან რა 40 მილიონი დოლარის ოდენობით ამერიკის სამხედრო დახმარების მორგე ულუფას, რომელიც ახლახან მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, კონტრრევოლუციონერები აპირებენ გაადაფართონ თავიანთი შეიარაღების ინსენალი სანდინისტური სახალხო არმიის ვერტმფრინავებზე თავდასხმისათვის.

კორესპონდენტთან საუბარში ერთ-ერთმა ბანდიტმა აღიარა: ამერიკას დახმარება რომ შეეწყვიტა, ეს „უდიდეს ზიანს“ მოგვიყენებდაო.

ორიოდ სიტყვით

◆ **„ნახევარსაათიანი** დოკუმენტური კინოსურათის ნახვამაც კი დაგვარწმუნა, რომ საქართველო ტუროზმის ქვეყანაა. ჩვენს თანამემამულეებს ვურჩევთ ეწვიონ მას“, — ასეთი აზრი გამოთქვა სინგაპურის ფირმა „გი ეს-პრესის“ მმართველის მოადგილემ ეინ სიუ შიანმა. როგორც სსრ კავშირის სახინტურისტის თბილისის გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ო. სიამაშვილმა აღნიშნა, სინგაპურის ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ ტურისტული მარშრუტების გაცნობის მიზნით.

◆ **პროფესორმა** ეუდვიგ ვოტრუბამ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ „მეცნიერებაში“ თვალსაჩინო ქართველი მეფიზიკოსის, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსის ალტენ მირაბუდავას შრომები დაახასიათა, როგორც „მონოგრაფიები, რომლებიც კარს უხსნიან საიმედობის თეორიის გამოყენებას პიერომეტეორიზაციის დარგში“. „... წიგნი“ პიეროსამეტეორიზაციო ნაგებობების საიმედობა“, — წერს ავტორი, — ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტთა ფართო წრეს დაეხმარა გასცნობოდა მათემატიკური სტატისტიკისა და საიმედობის თეორიის ძირითად ცნებებს, ისინი აადვილებენ ყოველგვარი პიეროტექნიკური სისტემის გაანგარიშებას, რომლებიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვისათვის“.

◆ **კომკავშვირული** ტერასები — ასე ეწოდება სამხრეთ საქართველოს რაიონებში მთის ფერდობებზე გაშენებულ ბაღ-ვენახებს. რამდენიმე საუკუნის წინათ გაშენებული ტერასების აღორძინება და მათზე თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის დარგვა ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრში შესაძლებელი გახდა ამ რაიონის ახალგაზრდობის ენთუზიაზმის შედეგად. მარტო ახლახან ერთ დღეში კომკავშირელებმა — ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა დარგეს ხუთი ათასი ნერგი.

◆ **ბაღაკტინე** ტაბიძის სიტყვები „კავშირი გულთა შორის“ — საბჭოთა ხალხების მეგობრობის პოეტური ფორმულა, გორში გამართული ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს დაიმტოტივი გახდა. საღამო მოაწყვეს საქართველოს მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის სახტელევიზიერმა და პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა. საღამოზე ლექსები წაიკითხეს ნოდარ გურეშიძემ, ბენიკ სეირანიანმა, იზა ორჯონიკიძემ, ნაზარ ბაყათმა, ოთარ შალამბერიძემ, ტოკარე ბრომ, გივი შანაზარმა, ზაურ ბოლქვაძემ და სხვა ლირიკოსებმა. შოთა ნიშნიანიძის ლექსები წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ.

◆ **ელექტრონულ**-გამოთვლითი მანქანის დახმარებით „შეერკინენ“ ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. ისინი მონაწილეობდნენ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის საუკეთესო პროგრამისტისათვის გამოცხადებულ კონკურსში. „სტუდენტური ლიტერატურა-87“ პროგრამის ფარგლებში იგი პირველად გაიმართა რესპუბლიკაში. გაიმარჯვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ხვიჩა გოგიჩაიშვილმა.

ადამიანთა ჯანმრთელობა სახელმწიფო საქმეა

ეს რამდენიმე ხანია, ახალშობილ ჭიათურელთა საბუთებში დამადების ადგილად აღინიშნება არა მათი მშობლიური ქალაქი, არამედ ზესტაფონი ან საჩხერე. აკვანსურეულმა კოკისპირულმა ზვიმებმა, რომლებიც ზამთარში და გაზაფხულის დამდეგს თავს დაატყდა ჭიათურას, ავარიულ მდგომარეობამდე მიიყვანა ადგილობრივი საავადმყოფოს სამშობიარო — გინეკოლოგიური განყოფილების დამველებული შეფობა, რომელიც დიდი ხანია შეკეთებას საჭიროებდა. ამიტომაც მაღაროელთა ქალაქისა და მის სასოფლო ზონაში მცხოვრები ქალები ახლა იძულებული არიან შორი გზა გაიარონ, რათა მეზობელი რაიონული ცენტრების საშობიარო სახლებში მოხვდნენ.

რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მშენებლები არ ჩქარობენ საზრუნავი შეუმსუბუქონ მომავალ დედებს. აბა სხვანაირად რით უნდა ახსნას ქალაქ ჭიათურის მთავარი მენგინეკოლოგის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ქალთა ჯრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და-ბავშვთა დაცვის საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ტაირა კაპანაძის შეშფოთება, რომელიც გამოთქვა მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის გამსვლელ სხდომაზე.

გამართული სჯა-ბაასის მომხსენებლობა ბეჭრად განსაზღვრა იმან, რომ დეპუტატები — კომისიის წევრები, აგრეთვე ჭიათურაში გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები წინასწარ გაეცნენ ადგილზე საქმის ვითარებას. ისინი იყვნენ უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე, შეხვდნენ და ესაუბრნენ მედიცინის მუშაკებს, გაეკვლნენ მომუშაეებულ პრობლემებში. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა კიდეც შეექმნათ ქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტური სურათი, დაესახათ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები, განესაზღვრათ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის კონკრეტული პროგრამა.

უკანასკნელი დროის მანძილზე ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა: მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჯანმრთელობის დაწესებულებათა ქსელი, მწყობრში ჩადგა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური, 250-საწოლიანი საქალაქო საავადმყოფოს ახალი სტაციონარული კორპუსი, სოფელ ზოდის საექიმო ამბულატორია, საუბნო საავადმყოფო ნიგოზეთში, მაღაროელთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში ყოველწლიურად ისვენებს და ჯანმრთელობას იკაქებს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურამანგანუმის“ ა ო ბ ი ო მშრომელი. უახლესი სამედიცინო ტექნიკით და აპარატურით აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში მუშაობენ მაღალკვალიფიციური კადრები.

ამ ფონზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაში. ბევრი მათ

ქართული ხელოვნება მოსკოვში

მკითხველმა უკვე იცის, რომ მოსკოვის მხატვრის ცენტრალურ სახლში გახსნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „ქართული სახვითი ხელოვნება“.

გამოფენამ უადრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც სპეციალისტებზე, ასევე ფართო საზოგადოებრივობაზე, — მას ტალანტების ფოიერვერკი უწოდეს!

სურათზე: ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

საკ.-საინფორმაციო ტელეფოტო.



ეს ხსოვნა ნათელი

ჩვენთან წასულები მარად ჩვენთან არიან. ისინი მხოლოდ ფიზიკურად მიდიან ჩვენგან, ხსოვნაში კი, გულის ხსოვნაში ჩვენთან რჩებიან, ჩვენთან ერთად განაგრძობენ სიცოცხლეს. ყოველ აპრილს კი თითქოს რაღაცნაირად მძაფრდება ეს შეგრძნება, წასულთა მოგონების შეგრძნება. ახალი ტრადიციაა ხსოვნის დღის შემოღება, მაგრამ ისე მოერგო ჩვენს ყოფას, ჩვენს არსობას, ასე გვგონია, რაც თავი გვახსოვს, ყოველ აპრილს აღვნიშნავთ ამ დღეს.

გამოზაფხულზე უამრავი წერილი მოდის რედაქციაში. მათი ავტორები, ცხოვრების სხვადასხვა დარგში დასაქმებული ადამიანები იხსენებენ ახლობელ ადამიანებს — ნათესავებს, მეგობრებს, თანამოსაქმეთ, იმათ, ვინც თავისი წასვლით აუვსებელ სიცარიელეს ტოვებს, იხსენებენ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ახლობლებს, რომელთა ნათელ ხსოვნას ყმათა სვლამ ვერაფერი დააკლო, იხსენებენ იმათაც, ვინც აგერ თითქმის გუშინ ჩვენ გვერდით იყო, თავისი არსებობით ალამაზებდა ჩვენს ყოფას, დღეს კი აღარ არის, დღეს ტკივილიანი მოგონებაღა შემოგვრჩა მათზე.

ამ აპრილს იგი ოთხმოცი წლის გახდებოდა. რა განსაკუთრებულ ელფერს მისცებდა მისი მონაწილეობა საიუბილეო კონცერტში. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, რომლის დაარსება უშუალოდ ილიკო სუხიშვილის სახელთან არის დაკავშირებული, ამ დღეებში თავისი უცვლელი ხელმძღვანელის გარეშე აღნიშნა მისი დაბადების დღე.

აღარ არის ადამიანი, მაგრამ დარჩა საქმე მისი, ესოდენ მნიშვნელოვანი, დარჩა მის მიერ დათესილი საკეთე, მისი სიცოცხლე გრძელდება კოლექტივში, მის მოწაფეებში, რომლებიც ღირსეულად ატარებენ ესტაფეტას. იმავე დღეს ბარნოვის ქუჩის № 109 სახლში, სადაც ილიკო სუხიშვილი ცხოვრობდა, გაიხსნა რესპუბლიკის დამსახურებული მოქანდაკის ო. ფარულავას მიერ შესრულებული მემორიალური დაფა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სარეპეტიციო დარბაზში, სადაც მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ხელოვანი, დაიდგა ამავე მოქანდაკის მიერ შესრულებული მისი ბიუსტი.

დედაქალაქის ვარკეთილის საცხოვრებელ უბანში ერთ-ერთ ჩუჩას მიენიჭა გამოჩენილი ქორეოგრაფის სახელი. ამავე ქუჩაზე გიხსნა საქართველოს სახალხო მხატვრის ოთარ ლიფთანიშვილის მიერ შესრულებული მემორიალური სტელა. ქართული ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიას მიენიჭა ილიკო სუხიშვილის სახელი.

ხსოვნა გულისა მარადიულია.

აპრილ უკვე რამდენი წელია აღარ ამშვენებს ჩვენს ქალაქებს, ეურნალისტთა კოპორატას გოორგი გელაშვილი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორი, მაგრამ გახა იქნება ამ მართლაც დიდი ადამიანის დავიწყება, დიდისა თავისი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით, ინტელექტით. მის მოგონებას ყოველთვის ახლავს განსაკუთრებული სიმთბო, ისე უშორველად რომ უწილადებდა ყველას თავის გარშემო არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. კიდევ ერთი რამ აქვს განსაკუთრებული ამ ადამიანს — თითქოსდა ძალაუნებურად მისაბაძი კაცის პორტრეტი იხატება — აი როგორი უნდა იყო!

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის მკითხველებისაგან, რომლებიც გვთხოვენ კვლავ და კვლავ გავიხსენოთ იგი — ჩვენი ნიჭიერი თანამოკალმე, ნიჭიერი საქმით, ნიჭიერი ადამიანობით.

„ჩვენ გვერდით აღარ არის პროფესორი მარიამ თალაკვაძე, მასწავლებელთა მასწავლებელი, როგორც მას სიყვარულით უწოდებდნენ თავისი აღზრდილები, — გვწერენ დოცენტი მიხეილ რეხვიაშვილი და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი მარიამ ბაშინჯალოვი. — შრომით გალეა სიცოცხლე ქალბატონმა მარიამმა; ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა პედაგოგიკის მეცნიერებას, იყო საქართველოს სსრ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოების საბჭოს წევრი და ამავე საზოგადოების ქართული ენის სექციის თავმჯდომარე.

ფანატიკურად უყვარდა თავისი საქმე. პედაგოგიური პრაქტიკის უცვლელი ხელმძღვანელი, იგი მომავალ პედაგოგებში დაეინერგებინ ეძებდა ალლოს, უნარს, შეაძლებლობას, ზრდიდა მათში ამ თვისებებს“.

დღეს მარიამ თალაკვაძის საქმეს მისი მოწაფეები, მისი აღზრდილები განაგრძობენ. ასე, საქმეში, მათს მოგონებებში გრძელდება სიცოცხლე, ასე პატიოსნად, მართლად რომ გაატარა ამ სასიქადულო მანდილოსანმა.

ადამიანი ლეგენდა — ასეთად დარჩა ყველას თვალში ეს ომახმიანი კაცი. ახლა ეს უკვე ისტორიაა: 1926 წლის 25 იანვარს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში სამოქალაქო ომიდან დაბრუნებული ჭაბუკის მიერ ჩამოყალიბებულმა „ქედის კომუნამ“, რომელშიც ნებაყოფლობის საფუძველზე ოცდაორი მამაკაცი და რვა ქალი გაერთიანდა, 1932 წლამდე, სრული კოლექტივიზაციის პერიოდამდე იარსება. ძმობა, მეგობრობა იყო მათი იდეალი. 6-7 წლის მანძილზე კომუნამ დიდი სიძნელეები გადალახა, საქვეყნო სახელიც მოიხვეჭა. მის ბაზაზე შემდგომში კოლმეურნეობა შეიქმნა.

— რა ძნელი იყო პირველი წლები, — ხშირად იგონებდა კობა. ამ სიძნელეებთან ჭიდილს შეალია ზღვა ენერგია. ყველას ახსოვს, სიღნაღის სამაზრო პარტიული კომიტეტის სხდომებზე იგი ზემო ქედიდან, 60 კილომეტრის მანძილზე, ფეხით რომ დადიოდა, აბა, თავისთვის ცხენს როგორ მოაცდენდა!

კობას მერე ამ სახელოვან კოლმეურნეობას არსენ კობაძე თავკაცობს. ესტაფეტა საიმედო ხელშია და ესეც ისევ კობას დამსახურებაა. ღირსეული შემცვლელი თავად აღზარდა. მხოლოდ ერთ რამეზე წყდება გული ყველას, ვინც მას იცნობდა, — სიკვდილამდე (ბოლო) მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც ექსპერიმენტულად არის შესწავლილი მთის ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენის ბგერითი წყობა. ამგვარივე პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა პროფესორ ჯ. გოფსაშვილთან თანაავტორობით შექმნილი „სპარსული ენის ფონეტიკა“, რომელსაც სათანადო გამოხმაურება ჰქონდა თვით ირანში და, საერთოდ, ირანული ენების შემსწავლელ ცენტრებში“, — ამ სიტყვების ავტორები შ. გიფრინდაშვილის მოწაფეები და თანამშრომლები, პროფესორები მ. ჯაფარიძე, თ. უთურგაიძე და ა. ონიანი არიან.

გულთბილად, პატივისცემით იხსენებენ თანამშრომლები შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელს ბორის პირადოვს („კაცი ჩუმი, მოკრძალებული, სიკეთით სავსე, ჩინებული სპეციალისტი“), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორს ლეონიდე დვალს („საქმის ერთგული, ავადმყოფის ნუგეშისმცემელი, მარჯვენამადლიანი“), თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქირხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ელექტროკარდიოგრაფიის კაბინეტის გამგეს ეთერ ჯორდანიას („აღსავსე ყველა იმ ღირსებით, ექიმსა და ქართველ ქალს რომ გამოარჩევს. პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, სათნოება, დახვეწილი გემოვნება — ყველაფერი ეს ამკობდა მის პიროვნებას“), საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის პედაგოგს, პროფესორ დ. ციციშვილს („მისი, როგორც პიროვნების, მოქალაქის, მამულიშვილის ღირსებას მის მიერ ნაქმევმა ერთი წინადადება მშვენივრად გამოხატავს — „ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, ვუძღვნი ერთადერთ მიზანს — დაღუპვისაგან ვიხსნა ქართული ხალხური მხატვრული რეწვა“), ახალგაზრდა მხატვარს ჯემალ ტატიშვილს, რომელსაც ახლა, 28 აპრილს მხოლოდ 28 წელი შეუსრულდებოდა.

„ბახლოვს მისი. ბოლო მოსვლა ჩვენი ეურნალის რედაქციაში, — გვწერს ეურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი, პოეტი მარიკა ბარათაშვილი, — ახალი წელი იყო, მწერალი ქალები შეგიკრებეთ, ერთად გავატარეთ რამდენიმე საათი. ვერიკო წერეთელი ამის მერე მალე წავიდა ჩვენგან. დაგვიტოვა ლექსების ორი პატარა კრებული — „კვირტების სიცილი“ და „წვიმა და იასამანი“.

„როცა გარდასახვის ხანა
დამდგება,
სიცოცხლის სანთელი როცა
დამდნება,
უხილავს გთხოვთ სითოს
ძაფებით დამქარგო,
ბალახად მაქციო, გთხოვ, სულ
არ დამკარგო“ —

წერდა ვერიკო. არა, არ დაკარგულა იგი, თავისი ხსოვნა თვითონვე მოქსოვა ლექსების ფერადოვანი ძაფებით“. ხსოვნას თვისას ყველა ადამიანი სიცოცხლეშივე უზრუნველყოფს და ჩვენი, დამრჩომთა ვალია უხინჯოდ გავტაროთ ეს ხსოვნა ნათელი.

ზეიმით გააცილეს

80 წლის გმირი თავმჯდომარე

ორჯონიკიძის რაიონი მდიდარია რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, რომლებსაც ადამიანთა მთელი პლეადა წლების განმავლობაში დიდის შემართებით და ურყევი რწმენით ეედდა. მათ შორის არის სოციალისტური შრომის გმირი ტარიელ კონსტანტინეს ძე მაჟავარიანი. მან თანამემამულეთა დიდი სიყვარული და პატივისცემა საქმის ერთგულებითა და შრომით დაიმსახურა.

ტ. მაჟავარიანი რატომ არის ყველასათვის გამორჩეული და საყვარელი ადამიანი? პასუხი ასეთია: იგი გატკეპნილ გზაზე არასოდეს უნახავთ გავლილი, მუდამ ძიებაში და შრომაში იყო ჩართული, ჩვეული სიდინჯით, უბრალოებით გამოირჩეოდა.

იფურცლებოდა მისი ცხოვრების კალენდარი... წელს წელი მიჰყვებოდა. რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი, რაიმიწკომის გამგე, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, 1974 წლიდან მშობლიურ სოფელ კიცხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. აი, არასრული ნუსხა ტ. მაჟავარიანის მიერ განვლილი გზისა, რომელიც საპატიო ნიშნის, შრომის წოდელი დროშისა და ლენინის ორდენებით აღინიშნა, 1948 წელს კი სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ამ დღეებში ორჯონიკიძის რაიონულ კულტურის სახლში რაიონის მშრომელებმა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, უკვე ოთხმოცდა წელს გადაცილებულ შრომის ვეტერანს ტ. მაჟავარიანს საზეიმო გაცილება მოუწყვეს. იმ საღამოს მრავალი გულთბილი სიტყვა უთხრეს ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელმაც მთელი 60 წელი საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეს შეალია.

ჯ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნარკომანია სოციალური პროტესტია

ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება და გასაღება დღეს აღიარებულია დიდ დანაშაულად. ვინც ამ გზას ადგას, ის საზოგადოების მიერ მიჩნეულია ადამიანთა მკვლელად. ამიტომაც არის, რომ მრავალმხრივი ღონისძიებები ხორციელდება ამ საშინელი შხამის გამავრცელებელთა გამოსავლინებლად და დასასჯელად.

ჩვენში არ არის ბაზა ნარკოტიკულ მცენარეთა საწარმოებლად, იგი სხვა რეგიონებში მზადდება და ბოროტმოქმედთ ბნელი გზით შემოაქვთ. ცხადია, ასეთი ვითარება იწვევს ოპერატიული სამსახურის გორაკეცებულ მუშაობას, დამნაშავეების სხვადასხვა მეთოდით მხილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხრივ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს დიდად ეხმარება საზოგადოებრიობა. ერთობლივი ღონისძიებებით ბევრ დამნაშავეს ჩაბოგლიჯეს ნიღაბი.

ბათუმელები ელგუჯა ძიძიგური და ზურაბ ბაკურიძე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასა და გასაღებასთან დაკავშირებით ადრეც იყვნენ ნასამართლეები. მოსალოდნელი იყო, რომ დაუფიქრებლობდნენ თავიანთ ბნელ მოქმედებას და სასჯელის მოხდის შემდეგ დაუბრუნდებოდნენ ნორმალურ ცხოვრებას, პატიოსანი შრომით გამოისყიდდნენ ადრინდელ ცოდვებს. მაგრამ ასე არ მოხდა. მათ ყური არ ათხოვეს შეგონებას, ისევ მოლიპულ და სახიფათო გზას გაჰყვნენ. ხელის მოთბობის მიზნით დაუკავშირდნენ დონეცკში მცხოვრებ საეჭვო ელემენტებს. მათგან ყიდულობდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ასაღებდნენ საქართველოში. ასე გაიცნეს დონეცკელი ელენე ციორფა. ეს ქმარშვილიანი ქალი იქ მუშაობდა ტროლეიბუსის მძღოლად. ჭამოძიებით დადგინდა, რომ ელენე ციორფა, მისი მეუღლე ოლეგ ციორფა და ნიკოლოზ პოლიაკოვი დადიოდნენ ქ. ედანოვში ნარკოტიკების შესაძენად. იქიდან ჩამოჰქონდათ დიდძალი ნარკოტიკული მცენარეები და ვინმე ვიტერო კოვალიოვის დახმარებით ამზადებდნენ შხამს. არამზადების ასეთ ჯგუფს დაუკავშირდნენ ე. ძიძიგური და ზ. ბაკურიძე. ჩამოჰქონდათ ეს უბედურება და ისე ასაღებდნენ, სინდისი ოდნავადაც არ ჰქონდათ. ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის რამდენ ოჯახს მიაყენეს უკურნებელი ტრავმა, რამდენი გზადაბეული და უნებისყოფო ახალგაზრდა შეაცდინეს.

ნარკომანი და ბოროტმოქმედი ელენე ციორფა ისე გათამამდა, რომ უსაქმურ ბაკურიძესა და ძიძიგურს შეპირდა, ნარკოტიკებს ბათუმში მე თვითონ ჩამოგიტანთო. დათქვეს შეხვედრის დღე და ადგილი. მაგრამ სანამ ციორფა ბათუმში ჩამოვიდოდა, ერთ-ერთი „ოპერაციის“ დროს ძიძიგური და ბაკურიძე თბილისში დააკავეს. ამის შესახებ ციორფამ არაფერი იცოდა. იგი არხეინად გამოემგზავრა ბათუმში და სანამ დათქმულ ადგილას გამოცხადდებოდა, დაათვალიერა ბათუმის თვალწარმტაცი სანაპირო. მისი ვარაუდით, ისე „კონსპირაციულად“ მოქმედებდა, ეჭვი არავის აღეძრებოდა. სინამდვილეში ციორფას დონეცკიდან უკვე უთვალთვალებდნენ, იცოდნენ მისი ყოველი ნაბიჯი. ოცნება და ვარაუდი ციორფას არ გაუმართლდა. ორგანოს თანამშრომლებმა იგი „ვოლგაში“ მიიპატიჟეს და განყოფილებაში მიიყვანეს. დაკითხვის დროს ციორფამ თავი შორს დაიჭირა, რის ნარკოტიკები, რა ნარკოტიკებია, შეიცხადა. მან რა იცოდა, რომ ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს თ. ვეკუა, შ. გოგიტიძეს, ე. ხორავას, ვ. ბერიძეს და სხვებს დიდი შუბობის გაწევა ეროვნებათ, სანამ ციორფასა და მისი ამფსონების ასავალ-დასავალს გაიგებდნენ. ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ თ. ვეკუა, რ. ქავთარაძე და მ. წულაია დონეცკელი კოლეგების დახმარებით ამხილეს სხვა ბოროტმოქმედები. ჩამოთვლეს დიდი რაოდენობით დამზადებული ნარკოტიკები და დასამზადებელი ნედლეული.

დონეცკში სასამართლომ მიუსაჯა: ე. ციორფას — 9 წლის თავისუფლების აღკვეთა, ო. ციორფას— 7, ვ. კოვალიოვს და ნ. პოლიაკოვს 8-8 წლის, ჭაკირი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. თბილისში კი ე. ძიძიგურს მიესაჯა 12 წლის თავისუფლების აღკვეთა, ზ. ბაკურიძეს —5 წლის.

ასე დამთავრდა ბოროტმოქმედთა ერთი ჯგუფის პარაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოგინობენ ისეთები, რომელთაც ხელი არ აუღიათ ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოებასა და გასაღებაზე.

ამას წინათ ბათუმის № 17 საფოსტო განყოფილებიდან ორგანოს მუშაკებმა ამოიღეს ამანათი, რომელიც კარგა ხანი ელოდა პატრონს, შეამოწმეს და ეჭვი გაუმართლდათ. ამანათში ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოჩნდა. მაშინვე შეუდგნენ საქმის მოკვლევას. თუმცა, ამანათი გამოგზავნილი იყო ვორონეჟის ოლქის კაშირის რაიონიდან. მილიციის ოფიცრები ზ. სურმანიძე, ვ. მეფარიშვილი და ს. ნიკურაძე დონეცკში გაეშურნენ. დონეცკელ კოლეგებთან ერთად ქართველი ჩეკისტები მალე დადგნენ დამნაშავეთა კვალს. დააკავეს ე. ზაბოლუევი, 1971 წელს დამადგენელი, სამჯერ ნასამართლეები. ბოროტმოქმედს კიბის უჯრედში დაემალა 4 კილოგრამი ხაშხაშა. ბინაც შეამოწმეს, მაგრამ იქ ვერაფერი ნახეს. დაკითხეა გაგრძელდა. ზაბოლუევმა დაასახელა კიდევ ორი ადგილი, სადაც გადამალული ჰქონდა ნარკოტიკები. შედეგი მოულოდნელიც აღმოჩნდა და აღმაფოთებელიც. 19 კილოგრამი ყაყაჩოს თავთავი ამოიღეს. ამდენი შხამი ერთ ქალაქს ეყოფოდა მოსაწამლავად. დამნაშავე ზაბოლუევი და მისი ხელშემწყობნი მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

მხილებული ფაქტი მეუთითებს, რომ საჭიროა არა მარტო ნარკოტიკული ნივთიერებების გამავრცელებლები და მომხმარებლები გამოვავლინოთ, უფრო მთავარია ბოროტება სათავეში ამოვკვეთოთ, გასაქანი არ მივცეთ მის მწარმოებლებსა და შემომტანთ.

აჭარის საზოგადოებრიობამ გადაწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ნარკომანიას. აღრიცხვაზეა მისი ბევრი მომხმარებელი. მასობრივად ეწყობა ნარკომანთა მკურნალობა. ადმინისტრაციული ორგანოები მეტი სიფხიზლითა და მონდომებით ცდილობენ გამოავლინონ და აღკვეთონ დამდუღავი შხამის გამავრცელებლები. ბრძოლა არ შენელდება, სანამ თუნდაც ერთი ნარკომანი იბოგინებს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეტი სიფხიზლე და მონდომება

ყაბარი

მიზანი: შუაოგის გაშმაგებულ ბანდიტიზმის გაშმაგებულ!

მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის კომისიამ მოაწყო საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტისა და პრესის მუშაკთა შეკრება. ამ შეკრებაზე წარმოდგენილი იყვნენ სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, განყოფილებათა გამგეები, მთავარი მწვრთნელები, გაზეთების — „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ბილისის“, „ლელოს“ და საქართველოს რადიოს წარმომადგენლები.

შეკრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ილაპარაკეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა, ყურადღება გაამახვილეს ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახეს მისი აღმოფხვრის გზები. ეურნალისტებს აღნიშნულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები გააცნეს საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მუშაკებმა, ილაპარაკეს იმის თაობაზეც, თუ რა უშლით ხელს ზოგიერთი სახეობების სპორტში მუშაობის ჯანმოზესებას და ამასთან დაკავშირებით რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სპორტულ ეურნალისტებს. თავის მხრივ სპორტულმა ეურნალისტებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს ღიად ეცდებიან თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აიყვანონ მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა.

შეკრებამ ორივე მხარის წარმომადგენლებს უთუოდ დიდი სარგებლობა მოუტანა და, ცხადია, იგი მათი მოვალეობის მთელი სისრულით განხორციელების საწინდარი უნდა გახდეს.

ს. დევიძე.

სატურნირო ორგიტა

ბოკეი. ვენაში გრძელდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი შაიბით ჰოკეიში. გთავაზობთ მორიგი, მეორე ტურის მატჩების შედეგებს: ფინეთი-შვეიცარია — 3:2, აშშ-შვეიცარია — 2:6, გფრ-სსრ კავშირი — 0:7, კანადა-ჩეხოსლოვაკია — 1:1.

ცხენოსნობა. მოსკოვში საუცხოოდ იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის ცხნობლმა მხედარმა **ხარლამ სიმონიამ.** მან უფროსი ასაკის ცხენებით მოასპარეზეთა შორის სსრ კავშირის თასი მოიპოვა დაბრკოლებათა გადალახვაში. სიმონიამ მხოლოდ 13 საჯარიმო ქულა მიიღო. მეორე ადგილზე გამოვიდა ამირ ახმეტშინი (უზბეკეთი) — 19,65 საჯარიმო ქულა, მესამეზე — მოსკოველი ვლადიმერ პლატოვი — 21,9. უმცროსი ასაკის ცხენებით მოასპარეზეებში ყველას აჯობა მოსკოველმა ანაროლი ტიმონენკომ.

ფეხბურთი. დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეორე გათამაშება. როგორც წესი, ამ შეჯიბრებაში მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდები მონაწილეობენ. დებუტანტი, თავდაპირველად ჯგუფური ტურნირები (2 წრედ) იმართება. გთავაზობთ პირველ შედეგებს: I **ჯგუფი.** მოსკოვის „ტორპედო“-სპარტაკი“ — 2:2, მოსკოვის „დინამო“-ცსკა — 1:0; II **ჯგუფი.** „არარატი“-თბილისის „დინამო“ — 1:2, „ნეფტჩი“-„გურია“ — 1:0; III **ჯგუფი.** „ფალგირისი“-„ზენიტი“ — 4:1; IV **ჯგუფი.** „მეტალისტი“-„კიევის „დინამო“ — 2:0, „დნეპრი“-„შახტიორი“ — 2:1.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორზე ტურის შეჯვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: სტავროპოლის „დინამო“-როსტოვის „როსტსელმაში“ — 1:1, იაროსლავლის „მინეკი“-ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — 2:0. რიგის „დაუგავა“-ნიკოპოლის „კოლოსი“ — 2:0, ოდესის „ჩერნომორეცი“-ვოლგოგრადის „როტორი“ — 2:0, ლვოვის „სკა „კარპატი“-ვორონეჟის „ფაკელი“ — 1:1, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“-ბათუმის „დინამო“ — 3:0, ტიუმენის „გეოლოგი“ — ქუთაისის „ტორპედო“ — 3:0, ამოვანის „კოტაიკი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 1:1, კემეროვოს „აუზბასი“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 1:0, დუშანბეს „პამირი“-როსტოვის „სკა — 1:0, ტაშკენტის „ფახთაქორი“-ვოროშილოვგრადის „ზარია“ — 1:0. ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (8-8) ლიდერობენ „ჩერნომორეცი“ და „შინიკი“, „დაუგავა“ 7 ქულა აქვს, ბათუმის „დინამო“ 3 ქულით მეცამეტე ადგილზეა, ქუთაისის „ტორპედო“ კი სხვა გუნდებთან ერთად 2-2 ქულით მეთხუთმეტე-მეცხრამეტე ადგილებს ინაწილებს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ПРЕМИЯ ЗА ПОБЕДУ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 422, ტელ. 99-54-80.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

სამშრეკლია

პროფკავშირული კადრების ალზრდის კერა

ამას წინათ სოფელ დიდ ჯიხაიშში გაიხსნა პროფკავშირული კადრების დაოსტატებისა და აღზრდის ახალი კერა — რესპუბლიკის პროფკავშირების კურსების ფილიალი. პროფკავშირული კადრების მომზადებას ემსახურება 20 სასწავლო აუდიტორია, სხვადასხვა კაბინეტი, 250-აგვიანი სხდომათა დარბაზი, საგამოფენო სტენდები. აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, სადაც ეწყობა შეჯიბრება ტანვარჯიშში, ფრენბურთში, კალათბურთში, სხვა სახეობათა სპორტში, კეთილმოწყობილია ფეხბურთისა და სხვა ღია მოედნები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩასატარებლად.

პროფკავშირულ მუშაკთა გადასამზადებელ კურსებზე უკანასკნელ 4 თვეში კვალიფიკაცია აიმაღლა 800-ზე მეტმა კაკმა.

ნორჩი მხატვრები — დიდ იუბილეს

საინტერესო გამოფენა მოეწყო სამგორეკის სამხატვრო სკოლაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენა დაამშვენა ამ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებმა, რომელიც ვბაგდოფს ხატვისადმი მათს დიდ სიყვარულსა და მიღრეკილებას. საინტერესოა მ. ვინკაძის — „სოფლის კომპოზიცია“, მ. ხაბეიშვილის — „ყარაჩოელები“, გ. უნგიაძის — „სოფლის პეიზაჟი“, „ფარეის მიღმა“, გ. ჯინცაძის — ხეზე ამოკვეთილი „ვეფხვისტყაოსანი“ და სხვები.

მოსწავლეთა ნამუშევრებიდან საუკეთესონი წარადგინეს ქ. მახარაძეში ნორჩ მხატვართა ზონაურ გამოფენაზე, სადაც ზოგიერთმა მათგანმა (ლ. სიხარულიძის — „ეენინური შაბათობა“, ზ. რამაშვილის — „ჩემი ეფო“, ლ. სიხარულიძის — „ჩაის კრეფა“, ნ. სიხარულიძის — ზღაპრის გმირების კომპოზიცია, მ. სიხარულიძის — „თევზაობა“) რესპუბლიკურ გამოფენაზე წარგზავნის უფლება მოიპოვა.

2 მილიონი კილომეტრი — უავარიოდ

კარგი მძღოლები ჰყავს ქალაქის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას (გენერალური დირექტორი — ა. ჟურავიკიძე), ისინი წარმატებით ასრულებენ თავს მინდობილ საქმეს. ასეთია ვახტანგ თევზაძეც. იგი მრავალი ათეული წელია ტაქსის საჭეს უზის და მგზავრთა კეთილშობილური მომსახურებით პატივისცემა დაიმსახურა.

მძღოლმა უკვე 2 მილიონი კილომეტრი გაიარა უავარიოდ. კომუნისტ მძღოლს ამაგი დაუფასეს და ენინის ორდენით დააჯილდოვეს.

საოჯახო წიგნის ფონდი

რაიონში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელებსაც უყვართ წიგნი, მდიდარია მათი საოჯახო წიგნის ფონდი, მაგრამ მათ შორის ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს რაიონის მკვიდრს, სოფელ კუდაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს აკაკი ჯამბურიას.

ა. ჯამბურიას საოჯახო წიგნის ფონდი 8 ათას ტომს შეადგენს. მის ბიბლიოთეკას ამშვენებს ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ 31 ეგზემპლარი. მისი ხშირი სტუმრები არიან წიგნისმოყვარეები. მუდამჟამს ღიაა ოჯახის უნიკალური ბიბლიოთეკის კარი.

კაფე „მთამთა“

ძალაძის კვების დაწესებულებებს კიდევ ერთი კაფე შეემატა— ამ დღეებში ქალაქის ცენტრში გაიხსნა ახალგაზრდობის კაფე — „მთამთა“.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სტიქია და ადამიანები

გამთარეა კუდი მოიქნია

19 აპრილს დღისით და ღამით რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე დაეცა ჰაერის ტემპერატურა. დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, თერმომეტრის სვეტი აჩვენებდა ხუთიდან პლუს ორ გრადუს ტემპერატურას. აქ ჩრდილო-დასავლეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრის შედეგად მოვიდა ძლიერი წვიმა, რომელსაც დაერთო თოვა, აღმოსავლეთ საქართველოში კი ყველგან მოთოვა. ქართლის მთელ რიგ რაიონებში აღინიშნა ორ გრადუსამდე ყინვა.

საქართველოში ესოდენ ცივი ამინდის დადგომა განაპირობა დასავლეთიდან ცივი ფრონტის შემოჭრამ. სითბოს მკვეთრმა შეცვლამ სიცივით განაპირობა ძლიერი ქარები. მაგალითად თბილისისა და წითელწყაროს რაიონში მისი სიჩქარე 19 აპრილს ღამით 25, ბათუმში კი 22 მეტრი იყო წამში.

უახლოესი დღეების მანძილზე ჰაერის ტემპერატურა რესპუბლიკაში აიწევს.

ტყიბული. (საკ. კორ. ტელეფონით). თითქოს გაზაფხულდა, მაგრამ ქალაქისა და მისი ზონის მშრომელები კვლავ ზამთრის ტანსაცმელზე გადავდგნენ. რამ აიძულათ? ზამთარმა, რომ იტყვიან, კუდი მოიქნია, და თავს ზემოთ ძალა აღარ იყო.

მთელი ღამე გადაუღებლად თოვდა და 20 აპრილს (ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურის ცნობით) 47 სანტიმეტრს მიაღწია.

ლაფერს ღონობს სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ. პირველ რიგში კი აღსადგენია მოძრაობა რკინიგზაზე, რაც ხელი არ შეეშალოს ქვანახშირის დანიშნულებისამებრ გაგზავნას. სათანადო ტექნიკა უკვე შეუდგა ავტომაგისტრალების გაწმენდას ქუთაისის მიმართულებით.

ზესტაფონი. (საკ. კორ. ტელეფონით). სტიქიით მიყენებული პრილობები ჯერ კიდევ ვერ მოუშუშებია ზემო იმერეთს. და აი, ორჯონიკიძის,